ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 24 დეკემბერი, 2019 | №304 (8258) | ფასი: 60 თეთრი

**ანა ჯაბაური: „სოლოღაშვილი მოერეოდა ცოტნეს? ამ ზღაპრების არავის სჯერა“**

გვ.5

**17 დეკემბრიდან**

ოტია იოსელიანი

**მუხლებზე დაწერილი და მზრედებს გამოტანებული ბარათები**



**ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი**

# „ქართული ოცნებიდან“ სამი პარტია შეიქმნება

გვ.2



**ლადო სადღობელაშვილი: „საქართველოში ფეისბუქადმინისტრატორი გიგა ბოკერიას ახლობელია“**

## შალვა შავგულიძე: „ივანიშვილზე საერთაშორისო ზეწოლა გაგრძელდება“



გვ.2

გვ.3

## „ანტიოლიგარქიული მოძრაობა გაგრძელდება“

**გიორგი გუგავა: „ფეისბუქგვერდებიდან სახელმწიფო კომპანიებში დასაქმებულები ეწეოდნენ ბინძურ კამპანიას სახელმწიფოს წინააღმდეგ“**

გვ.3

## სოსო ცინცაძე: „2020-ის არჩევნებში გადამწყვეტ სიტყვას ვაშინგტონი იტყვის“

**ვახტანგ გომელაურმა ავსტრიის რესპუბლიკის პოლიციის ატაშე მადლობის სიგელითა და მედლით დააჯილდოვა**



გვ.3

**რომის სასამართლო Astaldi S.p.A.-ს კომპრომისული შეთანხმება კრედიტორებთან (შეთანხმება no. 63/2018) ანგელა კოლუციო – მოსამართლე, რომელიც განიხილავს გაკოტრების საქმეებს ქონების მმართველები: პროფესორი სტეფანო ამბროსინი ბ-ნი ვინჩენცო იოფრედი ბ-ნი ფრანჩესკო როჩი**

გვ.4

ISSN 1987-9385

**5** ნიკა გვარამიას საქმეზე ქიბარ ხალვაში, კახა ბექაური და ნინო ნიქარაძე გამოიკითხებიან

**3** კარლო კოპალიანი: „ფეისბუქის პატრონს, თუ ვინც არის, ვურჩევ, რომ ორმხრივად იმოქმედოს“

**5** კახა შუშანაშვილს საფრანგეთის სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა

**6** აშშ-ში კოსმოსური ჯარები შეიქმნა

# „ქართული ოცნებიდან“ სამი პარტია შეიქმნება

## ლადო სადღობელაშვილი: „საქართველოში ფეისბუქადმინისტრატორი გიგა ბოკერიას ახლობელია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ლადო სადღობელაშვილი** პასუხობს.

***– ლადო, ფეისბუქ გვერდების გაუქმების შემდეგ, ოპოზიციასა და პოზიციას შორის ურთიერთბრალდებებს ვისმენთ. ოპოზიცია აცხადებს, რომ „ოცნებასთან“ დაკავშირებულ „ტროლების“ საკითხზე მოკვლევა უნდა დაიწყოს. თქვენ რას იტყვით?***

– მე არასდროს ვყოფილვარ დაკავებული „ქართული ოცნების“ გათეთრებით, მაგრამ პირდაპირ რომ ვთქვათ, ასეთივე გვერდები, არა მხოლოდ ერთი პარტიის ხელთ არის მობილიზებული, ასეთი გვერდები პრაქტიკულად ყველა მსხვილ პარტიას, ყველა მსხვილ ორგანიზაციას გააჩნია. ყველაზე შემაძრწუნებელი ის ფაქტია, რომ დიდ თანხაზეა საუბარი და არის იმის განცდა, რომ ეს თანხები იყოს სწორედაც რომ საქართველოს ბიუჯეტიდან გადახდილი თანხები. აი ეს არის ამ ამბავში ყველაზე ცუდი მომენტი.

***– ამდენი პრობლემა რომ არის ქვეყანაში და თანხები რა მიმართულებით იხარჯება.***

– დიახ, რაზე იხარჯება თანხები. ეს ყველაფერი ერთი ორგანიზაციის ირგვლივ აგორებულ ტალღას ეხება და ეს ორგანიზაციაა „პანდა“. მე მაქვს ინფორმაცია, რომ პანდას გარდა, მინიმუმ ოთხი ასეთი სარეკლამო ჯგუფი არსებობს ფეისბუქზე, რომლებიც ცოტა უფრო მორიდებულად იქცევიან, ასე თამამ პოსტებს არ დებენ და, შესაბამისად, ნაკლებად შესამჩნევები არიან. 300 ათას დოლარზეა საუბარი, რომელიც მილიონი ლარია, ეს მხოლოდ პანდამ დახარჯა და ჩემთვის სწორედ ამ ფულის წარმომავლობაა საინტერესო. თორემ ის ფეიკები ნაკლებად მაინტერესებს.

***– შეიძლება შავი ფული იყოს?***

– არა მგონია, რომ შავი ფული იყოს. ვფიქრობ, რომ ეს ბიუჯეტის ფულია და თუ ეს ასეა, აუცილებლად საქმე უნდა აღიძრას.

***– ანუ თქვენთვის მთელ ამ ისტორიაში ფულის წარმომავლობა უფრო მნიშვნელოვანია?***

– დიახ, ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ფული იხარჯებოდა. თორემ ეს გვერდები ყველას აქვს. მე ზუსტად ვიცი ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე გვერდი. ერთ-ერთი ასეთი გვერდია „ვინ ვინ არის“ ამ სახელწოდებით. თითქმის ყველას აქვს ეს გვერდები. აქ ყველაზე საინტერესოა ფული, თუ საიდან მოდის ეს ფული, საიდან ფინანსდებოდა. თუ ეს ბიუჯეტის

ფულია, მაშინ ამ საქმეში ჩართული ყველა ადამიანი უნდა დაისაჯოს.

***– მაინცდამაინც ახლა რატომ მოხდა ამ საკითხით დაინტერესება, სანქციების დაწესება და გვერდების გაუქმება ფეისბუქადმინისტრაციის მიერ?***

– საზოგადოება თუ ადევნებდა თვალს, ეკა გიგაურის ორგანიზაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, ძალიან დიდ დროს უთმობდა ბოლო პერიოდში ამ ამბებს, პრესკონფერენციებს უძღვნიდა, ანგარიშებს აქვეყნებდა ამ ტროლ გვერდებზე და ანგარიშებს უგზავნიდა ხოლმე ამერიკას. იმდენჯერ გააგზავნეს ანგარიშები მის მამა-მარჩენალთან, საიდანაც გრანტები აქვთ აღებული, რომ ბოლოს-დაბოლოს მათ ჰქონდათ რეაქცია ამ ყველაფერზე. როდესაც წლებია მიდის საჩივრები, ბოლოს-დაბოლოს მათაც ჰქონდათ რეაქცია. კონკრეტული გვერდები და ადრესატები იყო მიზანმიმართულად შერჩეული, თორემ უამრავი ბოტი და ტროლია დარჩენილი.

***– „ქართულ ოცნებას“ სათანადოდ არც თავის დაცვა გამოსდის, არც პიარი, როგორც ყოველთვის. ამ შემთხვევაშიც საკმაოდ არასერიოზულ კომენტარებს ვისმენთ.***

– მე დარწმუნებული ვარ, რომ „ოცნების“ დეპუტატების დიდი ნაწილი აზრზეც არ არის, საერთოდ რაზეა საუბარი და რა ხდება. „ოცნების“ რიგით წევრს ამაზე ინფორმაცია არა აქვს. კომენტარს რომ აკეთებენ, ამიტომ ჩანან ასეთი უსუსურები. ესენი არიან კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც ფინანსდებიან მმართველი პარტიის მმართველი რგოლიდან. რიგითმა წევრმა შესაძლოა საერთოდ არ იცოდეს, რა ხდება და რას უკავშირდება ეს ყველაფერი. პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ პირებს, ვისაც პიარზე აქვს პასუხისმგებლობა და საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ეს ადამიანები. ამ ადამიანებმა თანხის წარმომავლობაზეც უნდა ისაუბრონ.

***– რა ორგანიზაციაა ეს „პანდა“ და ვის ეკუთვნის?***

– „პანდას“ ერთ დროს უცნობის სტილი ჰქონდა დაჭერილი. უცნობი – გია გაჩეჩილაძე რომ გამოდიოდა ერთ დროს ე.წ. მასკაში და პოლიტიკურ სიმღერებს რომ მღეროდა და საზოგადოებას ამით გულს უფხანდა. გავიდა ათ წელზე მეტი და ეს „პანდა“ თავიდან გამოჩნდა, რომელმაც სიმღერებით დაიწყო და რეკლამებით გააგრძელა. ისიც კარგად ვიცით, რომ ჯიდიესთან აქვს ამ პანდას კავშირი.

***– ჯიდიესი ივანიშვილის ტელევიზიაა და იქნებ ეს ფულიც ივანიშვილისაა?***

– თუ ეს ფული ივანიშვილის პირადი ანგარიშიდან არის მოხსნილი, მაშინ არავის საქმე არ არის, ივანიშვილი თავის ფულს რაში დახარჯავს, მაგრამ ეს თანხა თუ არის საქართველოს ბიუჯეტიდან აღებული, მაშინ ეს ძალიან დიდი პრობლემაა. მილიონ ლარად იმას მაინც გავაკეთებდით, რომ სოციალურად დაუცველებს კომუნალურების ვაუჩერებს დავურიგებდით საახალწლოდ, ადრე რომ იყო 20 ლარიანი ვაუჩერები, რაიმე ამის მსგავსს. საერთოდ გაქრა ეს ვაუჩერები და ამაზე ხმას აღარავინ იღებს. სამაგიეროდ, თბილისის ლამაზი ქუჩები გვაქვს. ყველაფერს სჭირდება გარკვევა და გამოძიება. მე არც პროკურორი ვარ და არც ფეისბუქადმინისტრატორი. სხვათა შორის, ფეისბუქს ყველა ქვეყანაში თავისი წარმომადგენელი ყავს.

***– საქართველოში ვინ არის ფეისბუქადმინისტრატორი?***

– ერთი ქალბატონია, შეგნებულად არ ვასახელებ მის სახელს და გვარს. ეს ქალბატონი ასოცირდება პირდაპირ ბოკერიასთან და ეს უკვე პოლიტიზირებული პიროვნებაა და მას თუ მიაქცევს ბრალდებული მხარე ყურადღებას, მე მგონი კარგი იქნება. იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის ქალბატონი, რომელიც არის ფეისბუქის ადმინისტრატორი, ის არის კონკრეტულად ტაბულას ყოფილი თანამშრომელი და ბოკერიასთან და მის მეუღლესთან თამარ ჩერგოლეიშვილთან ძალიან დაახლოებული პიროვნებაა. დანარჩენი კი თვითონ გაარკვიონ. ჩემთვის არც გვერდი დაუბლოკავთ და არც ანგარიშები. მე ფულს მაგაში ნამდვილად არ დავხარჯავ, რომ იქ რაღაცა დავარეკლამო. ვისთანაც დგას ეს პრობლემა, იმათმა იფიქრონ ამ პრობლემაზე. მთავარია, რომ ეს არ უნდა იყოს ბიუჯეტიდან დახარჯული ფული.

***– შექმნილ სიტუაციაზე რას ფიქრობთ? ოპოზიციამაც დროებით ტაიმ-აუტი აიღო.***

– ტაიმ-აუტი აიღო, აბა რას იზამდა, ხალხი საეროდ ვეღარ გამოყავთ. კვირას აქცია გაიმართა ბათუმში, რომელიც უკვე სასაცილოც აღარ იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ 30-ზე მეტი პარტიაა და საკუთარ მომხრეებსაც კი ვერ აგროვებს. ეს პარტიები პრაქტიკულად განულებულ რეიტინგზე მყოფი პარტიებია. თანაც ამ პარტიების დიდი ნაწილი ბიუჯეტიდან სოლიდურად არიან დაფინანსებული და ამ ფონზე, კაციშვილი არ მიდის მათ აქციებზე. რატომ ვუხდით ჩვენს თანხებს ასეთ პარტიებს?!

***– ასეთს როგორს?***

– ურეიტინგოს, ნულს ქვევით მყოფებს. თუნდაც იმ ბურჯანაძეს, რომელსაც თავის დროზე 3% ჰქონდა, იმის მერე რომ კაციშვილი ვერ გამოჰყავს ქუჩაში, ხომ ვხედავთ, რომ ის 3%-იც აღარ აქვს. თუნდაც ბოკერიას 8% მისცეს და ვხედავთ, რომ მის ირგვლივ კაციშვილი არ დგას. ვერ გავიგე, როგორ იღებენ ამხელა პროცენტებს?! ან რატომ აქვთ ამხელა დაფინანსება ბიუჯეტიდან?! ბოკერიას ორ მილიონ ლარზე მეტი აქვს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად, რატომ?! რითი დაიმსახურა, იმით, რომ 100 კაცი გამოჰყავს. აბა წამოიჭრას საკითხი, რომ გადაიხედოს ამ პარტიების დაფინანსება, თუ მაშინვე ყველაფერი არ დაწყნარდეს. რადგან მათთვის მთავარი ამომავალი წერტილი არის ფული. „ქართულ ოცნებასაც“ აწყობს ეს სიტუაცია, რადგან ეს ყველაფერი ერთი ჯოხის ორი ბოლოა.

მე ნამდვილად არ მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ გააუქმებს ნაციონალურ მოძრაობას, სწორედ ამათით არსებობენ და იმიტომ. დღეს „ქართულ ოცნებაში“ ძალიან მაგარი პროცესები მიდის.

***– მაგარში რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ „ქართული ოცნება“ მთლიანად იშლება. „ოცნების“ კოალიცია როცა დაიშალა, ამაში გასაკვირი არაფერი არ იყო, მაგრამ პარტია რომ იშლება, ეს ნიშნავს იმას, რომ ამ გემის ცხვირი წყალშია ჩაძირული და ახლა ტანიც იძირება.

***– ახალი წარმონაქმნი ამოვა ამ პარტიიდან?***

– მე ვფიქრობ, მინიმუმ სამი წარმონაქმნი ამოვა ამ პარტიიდან. სწორედ დღეს სამი პარტია იქნება სავარაუდოდ ის ძალა, რომელიც პარლამენტში ახალ კოალიციას შექმნიან. პირდაპირ გეუბნებით, რომ 2020-ის არჩევნებზე რადიკალურად შეიცვლება პოლიტიკური ველი. ხომ ხედავთ, „ლელოს“ როგორ აძლიერებენ, მას მალე შეუერთდება კვირიკაშვილი და მისი გუნდი.

# შალვა შავგულიძე: „ივანიშვილზე საერთაშორისო ზეწოლა გაგრძელდება“

იაგო ნაცვლიშვილი

რას აპირებს ოპოზიცია ახალი წლის შემდეგ და გააგრძელებს თუ არა აქციებს? გადაკვეთა თუ არა „ქართულმა ოცნებამ“ დასავლეთთან ურთიერთობის მხრივ წითელი ხაზები? დაადგა თუ არა ბიძინა ივანიშვილი ღიად პრორუსულ გზას და როდის გახდა ეს მისთვის ნათელი? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** პასუხობს:

***– ვნახეთ დასავლეთის განწყობები. სხვადასხვა დონეზე გაკეთდა კრიტიკული განცხადებები და ბოლოს „ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ დაბლოკა ტროლები და ბოტები, რომლებიც „ქართულ ოცნებასთან“ იყვნენ დაკავშირებულები. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ „ოცნებამ“ უკვე წითელი ხაზები გადაკვეთა?***

– საქმე ისაა, რომ „ქართულ ოცნებას“ უკვე დიდი ხანია, რაც ეს წითელი ხაზები გადაკვეთილი აქვს. სამწუხაროდ, უკვე დიდი ხანია ნათელი გახდა, რომ გადაწყვეტილების მიმღები ბიძინა ივანიშვილი ადგას რუსეთისკენ მიმავალ გზას და ცდილობს, რომ საქართველო რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს. ალბათ ეს ვალდებულებები გამოჰყვა იმ ფულს, რაც მან რუსეთში იშოვა და დააგროვა. მაგრამ თავიდან ივანიშვილი ახერხებდა ამ ყველაფრის შენიღბვასა და დაფარვას. თუმცა, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ეს დიდი ხანია ცნობილი იყო.

***– თქვენთვის როდის გახდა ეს ნათელი?***

– პირადად ჩემზე და ჩემ პოლიტიკურ ძალაზე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთვის ეს ნათელი გახდა 2014 წელს და იმიტომ დავტოვეთ კოალიცია „ქართული ოცნება“. ანუ ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ რაღაც 2 წელში. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ივანიშვილი აკეთებდა რუსულ, პუტინისეულ სახელმწიფოს და ანგრევდა დემოკრატიულ ინსტიტუციებს.

მხილება მოხდა და მე ვიტყოდი, რომ ბოლო პერიოდის მოვლენებს თუკი შეიძლება პოზიტივი ეწოდოს, სწორედ ესაა. თვითონ ეს ფაქტი ქვეყნისთვის ძალიან დამაზიანებელია, რადგანაც ხელისუფლება აღმოჩნდა კოლაბორაციონისტი და ოკუპანტი სახელმწიფოსთან მოთანამშრომლე მისი ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ამაში პოზიტივი ის არის, რომ ეს ვეღარ დაიმალა და ეს აშკარად გამოჩნდა. ეს არის პოზიტივი ბოლო პერიოდში მომხდარი ამბების მხრივ.

ეს აშკარად ჩანდა. ასევე ვერ დაიმალა ანაკლიასთან დაკავშირებულ საკითხში. ანაკლიის პორტი მეტად საჭირო პროექტია საქართველოსთვის. გნებავთ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, გნებავთ გეოსტრატეგიული თვალსაზრისით. ეს პირდაპირ უთხრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჩვენს მაშინდელ პრემიერს მამუკა ბახტაძეს. მაგრამ ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდა, რომ ამ პროექტისთვის ხელი შეეშალა. აქ ვეღარ დამალა განწყობა და იმოქმედა რუსეთის სასარგებლოდ. ეს პროექტი არ უნდოდა რუსეთს, მაგრამ სჭირდებოდა საქართველოს. ივანიშვილი როგორ მოიქცა? მოიქცა ივანიშვილის ინტერესების გათვალისწინებით.



კიდევ რამდენიმე მარტივ მაგალითს მოვიყვან, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ხელისუფლების ამ მიმართულებას. მაგალითად, გავრილოვის და 20 ივნისის მოვლენები. ამ შემთხვევაშიც რუსეთის ინიციატივით მოხდა ის, რომ საქართველოში დიდი პატივით მიიღეს ოკუპანტი რუსეთის წარმომადგენელი გავრილოვი. ჯერ პრეზიდენტის სასახლეში მოუწყვეს მას დიდი ზარ-ზეიმით დახვედრა. მაშინ უკრაინის ელჩს ეყო სიფხიზლე და დატოვა შეხვედრა. ანუ, მან მიგვითითა სწორი გადაწყვეტილებისკენ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები კი „გაღიმებულები“ იყვნენ და თვალებში შესციცინებდნენ ოკუპანტს. თანაც ეს არის ის ადამიანი, რომელიც აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას.

ამის შემდეგ უფრო ძლიერად მოუსინჯეს კბილი ქართულ საზოგადოებას და მეორე დღეს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასვეს ის. ამას მოჰყვა საზოგადოების ჯანმრთელი და ძლიერი პროტესტი. ივანიშვილმა კი საზოგადოების სამართლიანად და ღირსეულად გამოხატული პროტესტი ჩაახშო და აქცია დაარბია. აქციის მონაწილეები დაასახიჩრა ამ დარბევის შედეგად და დააპატიმრა პროტესტის გამომხატველი ადამიანები, რომელთაგან ბევრი მათგანი დღესაც ციხეშია. ამ უკანონო დარბევის განმახორციელებელი შს მინისტრი კი დააწინაურა და პრემიერ-მინისტრად გადაიყვანა. ამან აღაშფოთა ქართველი ხალხი და ყველა ჩვენი მეგობარი ქვეყანა. ეს შედიოდა მხოლოდ რუსეთის ინტერესებში და ეს გაკეთდა მის საამებლად.

ასევე უნდა აღინიშნოს სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება. ვნახეთ, როგორი არჩევნები ჩაატარა და როგორი ძალით დასვა პრეზიდენტად ეს ქალბატონი. ქალბატონი, რომელიც მხოლოდ რუსეთის სასარგებლო მესიჯებით მეტყველებს. ეტყობა, ეს არის მისი ფუნქცია, რომ რუსეთის სასარგებლოდ იმეტყველოს და ის აკეთებს კიდეც ამას. გვესმის მისგან განცხადებები, რომ ომი საქართველომ დაიწყო და ა.შ. საქართველოს ჯარი არც ჰყავს და არც ეყოლება და ა.შ. ესეც ინტერესების შესაბამისია. ანუ ივანიშვილმა ვეღარ დამალა.

ბოლოს კი მისი ტროლების და ბოტების „ქარხნის“ ამუშავებამ იმდენად მასშტაბური სახე მიიღო და ამ ყველაფრის ამოქმედებამ, რომ უკვე „ფეისბუქიც“ ჩაერთო. ვხედავთ, რა სანქციებიც გამოიტანა მან. როდესაც აღმოჩნდება, რომ მოღალატე ხელისუფლება გყავს და მტერთან თანამშრომლობს, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ თუ რამე პოზიტივი შეიძლება მოიძებნოს ამაში, ეს ისაა, რომ ყველასთვის ნათელი გახდა. ჩვენ ამაზე კი ვლაპარაკობდით, მაგრამ დასავლეთსა და ჩვენს საზოგადოებას ეს ვერ წარმოედგინათ.

***– ეს იმდენად ნათელი გახდა, რომ დასავლეთმა დაიჯერა ხელისუფლების პრორუსულობა და ამით უნდა აიხსნას მისი განცხადებები და ხელისუფლების კრიტიკა?***

– ახლა უკვე ყველასთვის ცხადი გახდა ეს ყოველივე და ამიტომ ამოქმედდა ეს ყველაფერი. როგორ მკაცრ გაფრთხილებებს იღებს „ქართული ოცნება“. ვხედავთ, როგორ გამოიღვიძა საზოგადოებამ. საპროტესტო აქციები გვქონდა არა მხოლოდ თბილისში და საზოგადოება ძალიან აქტიურია. კვირას გვქონდა აქცია ბათუმში და მთელი იმ მსვლელობის დროს საზოგადოება აივნებზე იყო გამოფენილი.

***– რა გეგმები გაქვთ? ახალი წლის შემდეგ რა მეთოდებით გააგრძელებთ ბრძოლას?***

– გაგრძელდება მოთხოვნა პროპორციული არჩევნების მოთხოვნით. საზოგადოება ხედავს, როგორ გაერთიანდა სრულიად ოპოზიციური სპექტრი, განსხვავებული პოლიტიკური მიმართულებების მიუხედავად. ის, რომ არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს, ამაში ყველა უნდა გაერთიანდეს. იქნება ისევ მშვიდობიანი, მაგრამ ყველა იმ ფორმით, როგორც ვმართავდით.

გაგრძელდება საერთაშორისო ზეწოლა ივანიშვილზე და მისთვის უმჯობესია, რეალობას გაუსწოროს თვალი. შეაფასოს ობიექტურად შექმნილი რეალობა. სამართლიანი არჩევნების დაპირება, რომელიც მან გასცა და უღირსად გატეხა, უნდა შეასრულოს. ეს მისთვის არის უკეთესი, თორემ ის ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლებას. ივანიშვილი და მისი პოლიტიკური გაერთიანება ძალიან შიშველია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ანტიოლიგარქიული მოძრაობა გაგრძელდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიციური ერთობა იანვრიდან საპროტესტო მოძრაობას აანონსებს. ხელისუფლება ცდილობს, თავისი გაიტანოს. თუმცა, „ქართული ოცნების“ შესაძლებლობები შეიზღუდა. განსაკუთრებით, ინტერნეტში. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, **გიორგი გუგავას**.

***– თქვენი პოლიტიკური პარტნიორი გიორგი ვაშაძე „ახალი საქართველოდან“ იანვრიდან ეროვნულ წინააღმდეგობას აანონსებს. მონაწილეობთ თუ არა ამაში? რას მოიცავს ეს წინააღმდეგობა?***

– გაერთიანებული ოპოზიციის პროტესტი დაწყებულია. იანვარში ის გაგრძელდება. ვინ რა სახელს დაარქმევს ამას, გემოვნების საკითხია. ანტიოლიგარქიული მოძრაობა აუცილებლად გაგრძელდება. ხელისუფლებისგან მოვითხოვთ, შეასრულოს თავისი დანაპირები პროპორციული არჩევნების შესახებ. ამ არჩევნებზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, მისი განვითარება. სამართლიანი არჩევნებისათვის აუცილებელია პროპორციული სისტემის შემოღება. ჩვენი, ოპოზიციის მიზანი სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნებია. ამის მისაღწევად გავერთიანდით და მშვიდობიანი მეთოდებით გამოვთქვამთ პროტესტს ხელისუფლების მიმართ.

***– იანვრიდან მმართველ პარტიასა და ოპოზიციის ნაწილს შორის მოლაპარაკებები გაგრძელდება. გამოდის, რომ მოლაპარაკებებს იმედიანად არ უყურებთ?***

– ჩვენი ამოცანა ასეთია – ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ნებით უნდა დათმოს ის, რაზეც დანაპირები გასცა. მისი შეუსრულებლობით ხელისუფლებამ მარტო ოპოზიცია არ „გადააგდო“. მან მოატყუა საქართველოს მთელი საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა. ივანიშვილის ხელისუფლებამ ყველას უთხრა, რომ საარჩევნო რეფორმას 2020 წლის არჩევნებისთვის გაატარებდა. მან ყველა მოატყუა. ამით მარტო ოპოზიცია არ დაზარალდა. ამან საფრთხე შეუქმნა სახელმწიფოს, მის სტაბილურობას და გააფუჭა ხელისუფლების ურთიერთობა დასავლეთთან. იმ დასავლეთთან, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. იქმნება იზოლაციის საშიშროება. საქართველოს სრული იზოლაცია აწყობს მავანსა და მავანს. ამიტომ ვაგრძელებთ მშვიდობიან გამოსვლებს დემოკრატიული თავისუფალი არჩევნებისათვის. ეს ჩვენი აკვიატება არ არის. სამართლიანი არჩევნები სჭირდება ქვეყნის მომავალს. ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი.

***– თქვენი ოპონენტები თვლიან, რომ დესტაბილიზაციას სწორედ თქვენ, ოპოზიცია იწვევთ.***

– ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამომწვევია ხელისუფლება. „ქართული ოცნება“ არის დესტაბილიზაციის წყარო. ის უპასუხისმგებლოდ მოგვექცა ყველას. მას არ უნდა სამართლიანი არჩევნები. „ქართული ოცნება“ ახორციელებს ოპონენტებზე თავდასხმებს ტროლებისა და ბოტების მეშვეობით. ჩვენ ვატარებთ საპროტესტო აქციებს, მაგრამ არ გამოვსულვართ კონსტიტუციის ფარგლებიდან. ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ სახელმწიფოს, ხალხის, საგარეო პარტნიორების წინაშე. ხელისუფლების განცხადებები ამაზე ცდება მის მოქმედებებს. ის გაჭრილი კარტია. ხელისუფლება ამძიმებს ისედაც დაძაბულ ვითარებას.

***– ოპონენტებზე თავდასხმები ხომ შემცირდა? ფეისბუქის ადმინისტრაციამ ორი დღის წინ ასობით ყალბი გვერდი, ჯგუფი და ანგარიში დაბლოკა.***

– ჩვენ ასეთი თავდასხმების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ვიყავით. „ქართულმა ოცნებამ“ იმ დროიდან შემოგვიტია, როცა ხელისუფლებაში მოვიდა. ოპონენტების მიმართ ამგვარი ანგარიშსწორება რუსული მანქანაა. საქართველოში კვაზიპუტინური რეჟიმია და ამ რეჟიმმა რუსეთიდან ბრძოლის ეს მეთოდები გადმოიღო. აქ მარტო ოპონენტებზე თავდასხმები არ იყო. ეს ტროლები და ბოტები ეწეოდნენ ანტიდასავლურ, პროპუტინურ, ანტისახელმწიფოებრივ კამპანიას. ეს სამშობლოს ღალატია. ფეისბუქის ამერიკულმა კომპანიამ ეს გვერდები და ჯგუფები სამართლიანად გააუქმა. ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ამ ბინძურ საქმიანობაში იხარჯებოდა ბიუჯეტის ფული. ამ ფეისბუქგვერდებიდან სახელმწიფო კომპანიებში დასაქმებულები ეწეოდნენ ბინძურ კამპანიას სახელმწიფოს წინააღმდეგ. ესაა რკინიგზა, აიპები, სიპები.

***– ხელისუფლება უარყოფს, რომ ამაზე საბიუჯეტო თანხები იხარჯებოდა.***

– ეს კიდევ ერთი ტყუილია. აქ მარტო სარეკლამო თანხები არ იდებოდა. ტროლებს და ბოტებს ესაჭიროებოდათ ინფრასტრუქტურა, ტექნიკა. ასევე აუცილებელი იყო პერსონალისათვის ხელფასები. ისინი ხელფასებს სახელმწიფო კომპანიებში იღებდნენ. ეს კიდევ ერთი მიზეზია სანქციებისათვის. მოსალოდნელია, რომ ივანიშვილს სანქციები დაუწესონ.

***– აქციებისა და მოლაპარაკებების პარალელურად, პოლიტიკური ორგანიზაციების დაფუძნება-გამსხვილება მიმდინარეობს. პოლიტიკურ ორგანიზაცია „ლელო საქართველოსთვის“ ექსპერტებმა უკვე მიაკუთვნეს მეოთხე ადგილი „ქართული ოცნების“, ნაცმოძრაობისა და ევროპული საქართველოს შემდეგ.***

– არ ვიცი, ვინ რომელ ადგილზე ადგას. ახლა ამის გარკვევის დრო არ არის. იდეოლოგიურად პარტიები ერთმანეთისგან განვსხვავდებით. ახლა საერთო მიზნები გვაქვს. ყველას გვინდა სამართლიანი არჩევნები და პროპორციული სისტემა. მოვა დრო და ამომრჩეველი მიაკუთვნებს ყველას თავის ადგილს.

***– ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაც მიმდინარეობს.***

– ხელისუფლებას რომ დანაპირები შეესრულებინა, წესით, წინასაარჩევნო საქმიანობაში ვიქნებოდით. ისეთი პირობები შეგვიქმნეს, რომ ამისთვის არ გვცალია. ბრძოლას გავაგრძელებთ და წინასაარჩევნო კამპანიის დროც მოვა.

## გიორგი გუგავა: „ფეისბუქგვერდებიდან სახელმწიფო კომპანიებში დასაქმებულები ეწეოდნენ ბინძურ კამპანიას სახელმწიფოს წინააღმდეგ“

## ვახტანგ გომელაურმა ავსტრიის რესპუბლიკის პოლიციის ატაშე მადლობის სიგელითა და მედლით დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცერი, კარლჰაინც გორტანო ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ – დააჯილდოვა.

კარლჰაინც გორტანოს, რომელიც საქართველოში 2015 წლიდან არის მოვლენილი და თავის უფლებამოსილებას უახლოეს მომავალში დაასრულებს, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ორ ქვეყნას შორის მტკიცე და მეგობრული კავშირების ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია მისი უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით ავსტრიული მხარისგან მიღებული მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით: მასობრივ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე უსაფრთხოების გაძლიერება, სათხილამურო პატრულის განვითარება, საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროს გაძლიერება.

კარლჰაინც გორტანოს საქართველოში საქმიანობის პერიოდში განსაკუთრებულად ეფექტიანი იყო საერთაშორისო სამართალდაცვით სფეროში ოპერატიული თანამშრომლობის ხარისხი. ასევე, აღსანიშნავია ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცრის როლი და ჩართულობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესში.

## შალვა შავგულიძე: „ივანიშვილზე საერთაშორისო ზეწოლა გაგრძელდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მისთვის უკეთესი და ნაკლებად ტრავმატული იქნება ხელისუფლებიდან ჩამოშორება. ასეთ შემთხვევაში თუ ის მისცემს სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას ჩვენს ხალხს, მაშინ ექნება შანსი ოპოზიციაში გადაინაცვლოს და გააგრძელოს პოლიტიკური ცხოვრება და ეს შესაძლებლობა დარჩება მას. თუ ძალიან გაჯიუტდება, ამ ზეწოლას ვერ გაუძლებს.

მე ვფიქრობ, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტის დონეზე მაინც შეაფასებს ამ რეალობას და მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას. ვინაიდან არ შეიძლება, ერთი ადამიანის ნებამ აჯობოს საზოგადოების საერთო მოთხოვნას. ერთი ადამიანი ამბობს, რომ არჩევნები უნდა ჩავატარო იმ წესით, რომელიც გარანტირებულად მე გამამარჯვებინებს, საზოგადოება კი სამართლიან არჩევნებს ითხოვს. მას ეიმედება რუსეთის ზურგის, მაგრამ ის ზურგია ისეთი ძლიერი, ვინაიდან საზოგადოებას თავის მოთხოვნაში ზურგს უმაგრებს მთელი დასავლური სამყარო. ისეთი სახელმწიფოები, როგორიც აშშ, ევროკავშირი და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებია. მათ გაცილებით ძლიერი გავლენა აქვს მსოფლიოზე, იქნება ეს ეკონომიკური მიმართულება, სამხედრო თუ პოლიტიკური.

ეს რეალობა უნდა დაინახოს ივანიშვილმა, რადგან მისი პოზიცია არის არასამართლიანი და მოღალატეობრივი. საზოგადოებას ეს გადაწყვეტილება, პროდასავლური მიმართულება დიდი ხნის წინ აქვს მიღებული სხვადასხვა დონეზე და ის, რომ მოხდეს ჩვენი სრულფასოვანი ინტეგრაცია დასავლურ სივრცეში. ასე რომ, გადაწყვეტილება ივანიშვილზეა დამოკიდებული – უნდა დარჩეს საქართველოში დარჩენის შესაძლებლობა თუ ეს შესაძლებლობაც აღარ ჰქონდეს მას.

## კარლო კოპალიანი: „ფეისბუქის პატრონს, თუ ვინც არის, ვურჩევ, რომ ორმხრივად იმოქმედოს“

– ფეისბუქის პატრონს, თუ ვინც არის, ვურჩევ, რომ ორმხრივად იმოქმედოს ასეთ შემთხვევებში. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კარლო კოპალიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა ფეისბუქის მიერ ხელისუფლებასთან კავშირში მყოფი ასობით გვერდისა და ანგარიშის გაუქმებას.

მისი განცხადებით, ოპოზიციური გაერთიანების წევრებს პროდასავლურობაზე აქვთ პრეტენზია და ამავდროულად მოსკოვში დადიან. კოპალიანის შეფასებით, სწორედ ეს არის პროდასავლურობის ღალატი.

– დამისახელეთ რომელიმე ჯგუფი, რომელიც ფეისბუქმა გააუქმა და რომელზეც დამტკიცდა, რომ ანტიდასავლურ პროპაგანდას ავრცელებდა. თუ მსგავსი რამ იყო, ვეთანხმები, რომ უნდა გაუქმდეს, მაგრამ ეს გაუქმება უნდა მოხდეს ორმხრივად.

როდესაც პროდასავლურობაზე გაქვს პრეტენზია და უზარმაზარ ოპოზიციურ გაერთიანებას ქმნი, მაგ გაერთიანების წევრები მოსკოვში არ უნდა დარბოდნენ. აი, სად არის პროდასავლურობის ღალატი და ვინ არიან პრორუსები, აღარ ვლაპარაკობ მათ თავმჯდომარეზე, პოლკოვნიკ ვაშაძეზე.

ამიტომ ფეისბუქის პატრონს, თუ ვინც არის, ვურჩევ, რომ ორმხრივად იმოქმედოს ასეთ შემთხვევებში. თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ეს აქედან მიწოდებული ინფორმაცია იყო და ეს ერთ-ერთი ხერხია „ქართულ ოცნებასთან“ საბრძოლველად, მაგრამ ეს არ გამოუვათ.

ფეისბუქმა რეაგირება გააკეთა იმაზე, რა ინფორმაციაც მიიღო. ისეთი გვერდებია გაუქმებული, რომელთა 90% რეალურია, – განაცხადა კოპალიანმა.

შეგახსენებთ, „ფეისბუქის“ განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებული ასობით გვერდი, ანგარიში და ჯგუფი წაშალეს.

# სოსო ცინცაძე: „2020-ის არჩევნებში გადამწყვეტ სიტყვას ვაშინგტონი იტყვის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, მამუკა ხაზარაძემ პარტიის ყრილობა გამართა. „ლელო საქართველოსთვის“-ს შეუერთდნენ დავით უსუფაშვილი და ახალი მემარჯვენეები. რას იტყვით ამ ერთობაზე, რა შანსები აქვთ მათ არჩევნებში?***

– ოპოზიციურ ფლანგზე ამ ახალ პარტიას ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი აქვს. ხელისუფლებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ დღეს მისი მთავარი რესურსი მხოლოდ ფინანსურია. იდეური მომხრეები, გულწრფელი ამომრჩეველი „ქართულ ოცნებას“ დღითიდღე შორდება.

ხაზარაძემ სწორი გეზი აიღო, რადგან პარტია მთლიანად ახალგაზრდა ინტელექტუალებს ეფუძნება და ეს ყველაზე მთავარი მგონია. ახალგაზრდული შემართება, ახალგაზრდული თავგანწირვა, ახალგაზრდული იდეალები, ინტელექტი არის ის, რაც გვჭირდება.

პოლიტიკურ გამოცდილებას უსუფაშვილს ვერავინ დაუწუნებს. თუმცა, ახალგაზრდებმაც ამ ბოლო თვეების განმავლობაში ძალიან დიდი გამოცდილება მიიღეს.

თეორიულად „ოცნებას“ ნამდვილად უფრო მეტი უკმაყოფილო ჰყავს, ვიდრე დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ არჩევნებში მოგება-წაგებას კიდევ ბევრი სხვა რამ განსაზღვრავს.

***– ამ ორპარტიულ დაპირისპირებაში, – მე თუ არ ამირჩევ, ნაციონალები დაბრუნდებიან, რა წვლილს შეიტანს „ლელო“? შეძლებს ამის დაშლას?***

– ორპარტიული დაპირისპირების მთავარი ლეიტმოტივი იყო ნაციონალები არ დაბრუნდნენ! უკვე ვეღარ იტყვის, მიშა მოდის! მიშა მოდის! ამ დაპირისპირებაში თავისი წვლილი „ლელომ“ უნდა შეიტანოს, ეს უნდა შეძლოს. თუმცა, შეუძლებელია, მსოფლიო დანაშაულებს ამ პარტიას მიაწერდე, მასში ამხელდე და ის მოკავშირედ გეგულებოდეს.

რასაკვირველია, „ოცნებისთვის“ ნაციონალური მოძრაობა ძალიან სასიამოვნო სპარინგ პარტნიორია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაციონალები მუდამ მეორე ადგილს დასჯერდებიან და არ მოინდომებენ პირველ ადგილს, ეს არ უნდა დაავიწყდეს „ოცნებას“. თუ „ქართული ოცნება“ ცხოვრების დონეს გააუმჯობესებდა, ლარის კურსი არ იქნებოდა ასეთი, თუ ადამიანები ლუკმაპურს საკუთარი ხელფასით იყიდიდნენ, „ოცნება“ ელექტორატს კი არ დაკარგავდა, პირიქით, მოემატებოდა, მაგრამ ამ პირობებში ძალიან გაუჭირდება.

ხელისუფლება კი შეეგუა ლარის კურსს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა შეეგუა.

***– „ქართული ოცნების“ მთავარი კოზირი რა არის დღეს?***

– ძალიან რთული სათქმელია. დღეს ქვეყანაში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ხელისუფლების მოკავშირედ. ეს ძალიან ცუდია თავად „ქართული ოცნებისთვის“. მეტიც, მძიმეწონოსანი პოლიტიკოსებიც აღარ არიან.

შეიძლება ვიღაც შემომედავოს და მითხრას, რომ ვოლსკი არის გამოცდილი პოლიტიკოსი! დიახ, მე ვადასტურებ, რომ ვოლსკი არის გამოცდილი პოლიტიკოსი, მაგრამ ვოლსკი დღეს სიტუაციის მძევალია. შეიძლება მან გუნდს ურჩიოს, მაგალითად, რომ პოლიტიკურად ძალიან მომგებიანი იქნებოდა 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებულების განთავისუფლება, მაგრამ ამას ოხანაშვილი და კობახიძე გაუგებენ?! ამიტომ, ძალიან რთულია იმაზე საუბარი, რა ნაბიჯებს გადადგამს ამ მოცემულობაში ხელისუფლება.

ჩვენ არც ის ვიცით, „ოცნებას“ თავის არსენალში რა იარაღი აქვს, თუნდაც საარჩევნოდ. ჩვენ გველოდება არჩევნები, რომლის შედეგიც დამარცხებულისთვის შეიძლება კოშმარად იქცეს!

ცივილიზებულ ქვეყნებში, გამოცდილ დემოკრატიებში არჩევნებში წაგება ტრაგედია არ არის, წაგებული შემდეგი არჩევნებისთვის ემზადება გაორმაგებული ძალებით. ამერიკაში დემოკრატები და რესპუბლიკელები ერთმანეთს ცვლიან ყოველგვარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარეშე.

ამ არჩევნებზეც, როგორც სხვა გადამწყვეტ არჩევნებზე, გადამწყვეტ სიტყვას მაინც ვაშინგტონი იტყვის. დასავლეთიდან უკვე არის ღია გზავნილები. გზავნილები როგორც ამერიკელი კონგრესმენების მხრიდან, ისე დასავლური პრესის მხრიდან.

„უოლ სტრიტ ჯორნელის“ სარედაქციო სტატია ჩემი გამოცდილებით, უკვე არის სერიოზული სიგნალი. უკვე დასავლეთი ხელისუფლებას პირდაპირ ეუბნება: შეჰპირდი, შეასრულე!

რასაკვირველია, საუბარია პროპორციული არჩევნების დანაპირების შესრულებაზე.

**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# რომის სასამართლო
# Astaldi S.p.A.-ს კომპრომისული შეთანხმება კრედიტორებთან (შეთანხმება no. 63/2018) ანგელა კოლუციო — მოსამართლე, რომელიც განიხილავს გაკოტრების საქმეებს ქონების მმართველები: პროფესორი სტეფანო ამბროსინი ბ-ნი ვინჩენცო იოფრედი ბ-ნი ფრანჩესკო როჩი

## შეტყობინება კრედიტორებს გაკოტრების შესახებ კანონის 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად

გაკოტრების შესახებ კანონის 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად, 2019 წლის 5 აგვისტოს გამოცემული ბრძანებულებით რომის სასამართლომ ნება დართო **Astaldi S.p.A.-ს (რეგისტრირებული ოფისი რომში, მისამართზე: Via Giulio Vincenzo Bona 65 (საგადასახადო კოდი 00398970582 და დღგ № 00880281001)** კრედიტორებთან კომპრომისული შეთანხმების სამართალწარმოებისთვის. პროცესზე უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია – ანგელა კოლუციო, ხოლო ქონების მიმღებ პირებად სახელდებიან პროფესორი სტეფანო ამბროსინი, ბ-ნი ვინჩენცო იოფრედი და ბ-ნი ფრანჩესკო როჩი.

## ა. კრედიტორთა შეხვედრა

სასამართლო ბრძანებულებით, 2020 წლის 6 თებერვალს, 10:30 სთ-ზე კრედიტორები გამოძახებულნი არიან მოსამართლე ანგელა კოლუციოს წინაშე წარსადგომად, რომის სასამართლოში – გაკოტრების შესახებ საქმეთა განყოფილებაში, მისამართზე: რომი, Viale delle Milizie 3/E.

## ბ. კომპრომისული შეთანხმების გეგმა

კრედიტორებთან კომპრომისული შეთანხმების გეგმა შედგენილია ბიზნესის უწყვეტობის სქემის მიხედვით გაკოტრების შესახებ კანონის 186(2) მუხლის მიხედვით და მოიცავს შემდეგ ძირითად პრეზუმპციებს:

– საქმიანობის გაგრძელება დებიტორი კომპანიის მიერ;

– კაპიტალის ზრდისა და ფინანსური გაძლიერების პროცესი შემდეგი საშუალებით: (I) Astaldi-ის კაპიტალის ზრდა 225 000 000,00 ევრომდე, რომელიც გაიცემა და ანაზღაურდება ნაღდი ფულის სახით Salini Impregilo S.p.A.-ს მიერ, 2019 წ. 13 თებერვალს Salini Impregilo-ს მიერ გაკეთებული შეუცვლელი შეთავაზების დებულებების შესაბამისად, დადასტურებული 2019 წ. 18 ივნისის წერილით, რომლის ქმედითობა ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრულ პირობებს, კერძოდ, 978 260 870 ახალი ჩვეულებრივი აქციების გაცემა (თითოეული 0,23 ევროს ფასად), დივიდენდის რეგულარული უფლებებით და იმავე უფლებებითა და მახასიათებლებით, რაც გააჩნიათ ბრუნვაში გაშვებულ ჩვეულებრივ აქციებს; (II) კაპიტალის შემდგომი ზრდა € 98 653 846,00 მაქსიმალურ ნომინალურ ოდენობამდე, მაქსიმუმ 428 929 766 რაოდენობის ახალი ჩვეულებრივი დემატერიალიზებული აქციების გაცემის გზით (თითოეული 0,23 ევროს ფასად) Astaldi-ს არაუზრუნველყოფილი ვალების აქციებში გადასაყვანად, დივიდენდის რეგულარული უფლებებით და იმავე უფლებებითა და მახასიათებლებით, რაც გააჩნიათ ბრუნვაში გაშვებულ ჩვეულებრივ აქციებს; (III) € 400 000 000,00 ჯამური ოდენობის დამატებითი სესხების გადახდა;

– იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2447(2) და სხვ. მუხლების მიზნებისთვის განკუთვნილი აქციის შექმნის საშუალებით, ისეთი აქტივების გამოყოფა, რომლებიც არ მოითხოვება ბიზნესის უწყვეტობისთვის და განკუთვნილია თანდათანობით სალიკვიდაციოდ და ბაზარზე გასაყიდად, ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნულის შესრულების საფუძველზე, რომლისგან მიღებული შემოსავალი ექსკლუზიურად აუნაზღაურდებათ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს;

– 5 წლიანი დროის შუალედი (2019-2023), აქედან 4 წელი კომპრომისული შეთანხმების სავარაუდო დამტკიცების თარიღიდან.

შესაბამისად, აპლიკანტი გეგმავს დააკმაყოფილოს კრედიტორები შემდეგი საშუალებებით:

– ფულადი ნაკადებით, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდება სააქციო კაპიტალის ზრდის შედეგად, რომელიც განპირობებულია Salini Impregilo-სგან მიღებული შეთავაზებით; აღნიშნული ფულადი ნაკადები გამოიყენება ბიზნესის უწყვეტობის დასაფინანსებლად, Astaldi-ის ლიცენზიით გათვალისწინებული სამუშაოების დასასრულებლად და ნაწილობრივ, წინასწარ დაქვითვადი და პრიორიტეტული ვალების დასაფარად;

– იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2447(2) და სხვ. მუხლების თანახმად გამოყოფილი აქტივების გაყიდვიდან მიღებული სუფთა მოგება, რომლის შემოსავალი მთლიანად და ექსკლუზიურად აუნაზღაურდებათ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს, რომელთაც დაევალებათ ფინანსურ ინსტრუმენტებში მონაწილეობა;

– Astaldi-ს აქციების გამოყოფა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებზე.

სააპელაციო საჩივრის დებულებების მიხედვით, კომპრომისული შეთანხმება კრედიტორებთან უნდა ჩაითვალოს შესრულებულად წინასწარ დაქვითვადი და პრიორიტეტული ვალების ნაღდი ფულით ანაზღაურებისა და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებზე ახალგაცემული აქციებისა და ფინანსური ინვესტიციის ინსტრუმენტების გამოყოფის საშუალებით.

## გ. მოვალესა და კრედიტორს შორის კომპრომისული შეთანხმების შეთავაზება. კრედიტორების დაკმაყოფილების დრო და ფორმა

განმცხადებლის მიხედვით, მოვალესა და კრედიტორს შორის კომპრომისული შეთანხმების გეგმის განხორციელება საშუალებას იძლევა მოვიპოვოთ აუცილებელი რესურსები, რათა ავანაზღაუროთ:

– წინასწარ დაქვითვადი ვალებისა და მენეჯმენტთან დაკავშირებული ხარჯების ჯამური ოდენობა გადახდის ვადის დადგომისას, რომელიც შეეხება გაკოტრების შესახებ კანონის 182(5) მუხლის თანახმად მიღებულ სესხებთან დაკავშირებულ წინასწარ დაქვითვად მოთხოვნებს შესაბამისი რეფინანსირების საშუალებით;

– პრიორიტეტული ვალების ჯამური ოდენობა (გარანტიით გათვალისწინებული აქტივების ღირებულების ფარგლებში, რაც შეეხება დღგ-ს დებიტორულ ანაზღაურებას) კრედიტორებთან კომპრომისული შეთანხმების დამტკიცებიდან ერთი წლის განმავლობაში, გაკოტრების შესახებ კანონის 186(2) მუხლის დებულებების შესაბამისად, რომელიც მოიცავს სახელმწიფო მოსაკრებლებისა და სოციალური უზრუნველყოფის გადასახადების პრიორიტეტულ კომპონენტს, განსაზღვრულს გაკოტრების შესახებ კანონის 182(3) მუხლით შეთავაზებული საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის გარიგებების შესაბამისად.

– არაუზრუნველყოფილი კრედიტორები (მათ შორის, სახელმწიფო მოსაკრებლებისა და სოციალური გადასახადების არაუზრუნველყოფილი კომპონენტი) ქვემოთ მოცემულის გამოყოფის გზით: (I) Astaldi-ის ახალგაცემული აქციები, რომელიც ბაზარზე იყიდებოდა Borsa Italiana-ს ხელმძღვანელობით, გაუნაწილდა კრედიტორებს პროპორციით: 12 493 აქცია ყოველი 100 ევროს ღირებულების სესხზე; (II) საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც თითოეულ მფლობელს უფლებას ანიჭებს აქტივების ლიკვიდაციით მიიღოს სუფთა მოგება, მათ შორის, განხილვის ქვეშ

მყოფი აქტივები და რომლებიც გაუნაწილდება კრედიტორებს პროპორციით: 1 საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტი სესხის ღირებულების ყოველ ევროზე.

აქციებისა და საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტების კრედიტორებზე განაწილება დასრულდება კომპრომისული შეთანხმების დამტკიცებიდან 120 დღის განმავლობაში.

სუბორდინირებული ვალები არ ანაზღაურდება.

## დ. კრედიტორთა შეხვედრაზე მონაწილეობა და ხმის მიცემა

თითოეულ კრედიტორს დასწრების უფლება აქვს სპეციალური წარმომადგენლის სახით, მინდობილობის საფუძველზე, რომლის შედგენა შესაძლებელია არაფორმალურად, წერილობით, თუნდაც ქვემორე „თ“ პარაგრაფში მითითებულ დოკუმენტაციაში ხელმისაწვდომი ფორმის გამოყენებით.

თუ კრედიტორი არის კომპანია (ან სხვა სახის იურიდიული პირი), მან წარმომადგენლის ან მანდატირებული პირის უფლებამოსილება უნდა დაადასტუროს სავაჭრო პალატის ამონაწერით, გაცემული არაუგვიანეს 30 დღისა ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტის საშუალებით.

გადახდისუუნარობის შესახებ კანონის ბოლო, 178-ე მუხლის თანახმად, კრედიტორებს, რომელთაც შეხვედრაზე ხმის მიცემის უფლება არ გამოუყენებიათ, ოქმების დასრულებიდან ოცი დღის განმავლობაში შეუძლიათ თავიანთი არჩევანი შეატყობინონ ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით (PEC) მისამართზე: cp63.2018roma@pecconcordati.it ან წარადგინონ რეგისტრირებული დოკუმენტი სასამართლო მოხელესთან ტელეგრამის, წერილის ან ფაქსის სახით რომის სასამართლო განყოფილებაში, რომელიც განიხილავს გადახდისუუნარობის საქმეებს, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების საკითხებში მოსამართლის – ანგელა კოლუციოს კანცელარიაში, მისამართზე: Viale delle Milizie 3/E, 00192, რომი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენება გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 177-ე მუხლის დებულებები.

## ე. ხმის მიცემას (კენჭისყრას) დაქვემდებარებული ვალები და მათთან დაკავშირებული თანხები

თავიანთი მოვალეობებიდან გამომდინარე გადახდისუუნარო მოვალის ქონების მმართველმა პირებმა უნდა დაადასტურონ კომპანიის მიერ მომზადებული კრედიტორთა სია, 2019 წ. 15 ნოემბრამდე კრედიტორებმა უნდა გაუგზავნონ გადახდისუუნარო მოვალის ქონების მმართველ პირებს შეტყობინება თემით „დეტალური ინფორმაცია ვალის შესახებ“ ექსკლუზიურად PEC ოფიციალური ელ. ფოსტის საშუალებით მისამართზე: cp63.2018roma@pecconcordati.it, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(1) Astaldi S.p.A.-სგან მიღებას დაქვემდებარებული ქონების ოდენობა 2018 წლის 28 სექტემბრის 11:59 სთ მდგომაროებით (გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 161-ე მუხლის მე-6 პარაგრაფის თანახმად კომპანიის რეესტრში საჩივრის გამოქვეყნების თარიღი), შესაბამისი მიზეზების და აქციების შესყიდვის რაიმე სახის უპირატესი მოთხოვნის დაკონკრეტებით, თანდართული დოკუმენტაციით.

(2) მიღებას დაქვემდებარებული ქონების ოდენობა, წარმოშობილი 2018 წ. 28 სექტემბრის შემდგომ, შესაბამისი მიზეზების და აქციების შესყიდვის რაიმე სახის უპირატესი მოთხოვნის დაკონკრეტებით და თანდართული დოკუმენტაციით.

ასევე, შესაძლებელია შეტყობინება ხელმოწერილ იქნას პირადად შეთანხმების მხარეების მიერ (სხვადასხვა ალტერნატივა): (1) ციფრული ხელმოწერის საშუალებით; (2) ორიგინალ დოკუმენტზე შესრულებული ჩვეულებრივი ხელმოწერის საშუალებით, რომელიც შემდგომ უნდა დასკანერდეს ელექტრონული ფორმით გასაგზავნად.

2018 წ. 29 სექტემბრის შუაღამიდან დარიცხული ყველა ვალი ექვემდებარება წინასწარ გამოქვითვას და მინიჭებული არ აქვს ხმის მიცემის უფლება.

გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 176-ე მუხლის თანახმად მოსამართლეს შეუძლია პირობითად მიიღოს გაცხადებული ვალები მხოლოდ ხმის მიცემის და უმრავლესობის დათვლის მიზნებიდან გამომდინარე, ვალების არსებობისა შესახებ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის გარეშე.

## ვ. მოვალესა და კრედიტორს შორის კომპრომისული შეთანხმების დამტკიცებისთვის საჭირო უმრავლესობა

გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 177-ე მუხლის თანახმად მოვალესა და კრედიტორს შორის კომპრომისული შეთახმების შეთავაზება დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ ის მიიღებს დადებით ხმებს კენჭისყრას დაქვემდებარებული ვალების უმრავლესობისთვის.

ხმათა უმრავლესობის დათვლის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ:

– ხმები, რომელიც მიცემულია განაცხადის შედგენის შემდგომ, გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 177-ე მუხლის თანახმად;

– ხმები, რომელიც მართებულად იქნა მიცემული შეხვედრაზე;

– ხმები, რომელიც მიღებულ იქნა კრედიტორთა შეხვედრის ოქმების დახურვიდან ოცი დღის განმავლობაში, ზემოაღნიშნულ „დ“ პარაგრაფში გაწერილი პროცედურების შესაბამისად.

## ზ. შემდგომი კომუნიკაცია

PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის მისამართია: cp63.2018roma@pecconcordati.it.

კრედიტორი პასუხისმგებელია გადახდისუუნარო მოვალის ქონების მმართველ პირებს შეატყობინოს PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის მისამართი, რათა კავშირი იქონიონ აღნიშნულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით ცვლილებების არსებობის შემთხვევაში.

2019 წ. 15 ნოემბრისთვის კრედიტორებმა ზემოთ მითითებულ PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის მისამართზე უნდა წარადგინონ PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის მისამართი, სადაც მათი სურვილისებრ მოხდება აღნიშნულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სახის შეტყობინების გაგზავნა და დააკონკრეტონ ის კრედიტორები, რომელთაც არ აქვთ PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის მისამართი და შეუძლიათ გამოიყენონ რწმუნებული მესამე მხარის (ადვოკატი, კონსულტანტი, პროფესიონალი, სავაჭრო გაერთიანება, სავაჭრო ასოციაცია და სხვ.) PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის მისამართი. ჩვეულებრივი ელ. ფოსტით მიღებული შეტყობინებები არ არის ვალიდური.

იმ შემთხვევაში, თუ PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის მისამართი არ არის უზრუნველყოფილი (ან იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მხოლოდ ჩვეულებრივი ელ. ფოსტის მისამართის უზრუნველყოფა) ან თუ შეტყობინება არ იქნა მიღებული მიმღებს მიკუთვნებული მიზეზებიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 31(2) მუხლის თანახმად, შემდგომში ყველა სახის კომუნიკაცია უნდა შედგეს მხოლოდ სასამართლოს მოხელესთან ჩაბარების მეშვეობით.

## თ. განსახილველი დოკუმენტაცია

სარჩელი თავის დანართებთან და სხვა დოკუმენტაციასთან ერთად ხელმისაწვდომია კრედიტორებისთვის კომპანიის ვებ-გვერდზე www.astaldi.com და დაცულ ადგილას, მისამართზე www.portalecreditori.it; სისტემაში შესასვლელი ინდივიდუალური ინფორმაცია კრედიტორებს გაეგზავნებათ ზემოაღნიშნულ PEC ოფიციალურ (რეგისტრირებულ) ელ. ფოსტის მისამართზე მოთხოვნის გაგზავნის შესაბამისად.

## ი. ანგარიში ვალაუვაობის შესახებ კანონის 172-ე მუხლის შესაბამისად

კრედიტორთა შეხვედრამდე 45 დღით ადრე, გადახდისუუნარო მოვალის ქონების მმართველმა პირებმა უნდა შეავსონ დეტალური ანგარიში სასამართლო მოხელესთან გადახდისუუნარობის მიზეზების, კრედიტორებთან კომპრომისული შეთანხმების შეთავაზების და კრედიტორებისთვის შეთავაზებული გარანტიების შესახებ გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 172-ე მუხლის თანახმად.

იგივე ვადაში ზემოაღნიშნული ანგარიში უნდა გაიგზავნოს PEC ოფიციალური (რეგისტრირებული) ელ. ფოსტის საშუალებით გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 171-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად.

**გადახდისუუნარო მოვალის ქონების მმართველი პირები**
**პროფესორი სტეფანო ამბროსინი**
**ბ-ნი ვინჩენცო იოფრედი**
**ბ-ნი ფრანჩესკო როსჩი**

# „100/50-ის შეთავაზება „ოცნების“ მხრიდან დათმობაა“

## ამირან სალუქვაძე: „ჯიუტად მიდის ჭიდაობა ისეთ საკითხებზე, რაზეც ვერ შეთანხმდებიან“

გულიკო ბალაძე

ხელისუფლებამ ოპოზიციას პარლამენტში პროპორციული მანდატების რაოდენობის 100-მდე გაზრდა, ხოლო მაჟორიტარული მანდატების რაოდენობის 50-მდე შემცირება შესთავაზა. არის თუ არა ეს ხელისუფლების მხრიდან დათმობა? – „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

***– პატონო ამირან, ხელისუფლებამ ოპოზიციას ახალი ვარიანტი შესთავაზა, რომელიც წარსულშიც ფიგურირებდა.***

– დიახ, 2003 წელს რეფერენდუმით დეპუტატების რიცხვი 223-დან 150-მდე შემცირდა. შემდეგ განხილვები იყო. უნდა ყოფილიყო 100 პროპორციული, 50 კი – მაჟორიტარული მანდატი. 2008 წელს წინა ხელისუფლებამ შეიტანა ცვლილება და მიიღო დღეს არსებული მოდელი.

***– დღევანდელი შეთავაზება პროპორციული მანდატების 100-მდე გაზრდას, მაჟორიტარულის კი 50-მდე შემცირებას ითვალისწინებს. ოღონდ, თან ახლავს დათქმა, რომ 2024 წლისთვისაც ამ მოდელით ჩატარდეს არჩევნები. როგორ აფასებთ ამ შეთავაზებას, რომელსაც ოპოზიცია არ იღებს?***

– ამ მოდელით მაჟორიტარული სისტემის მომხრეების აზრიც არის გათვალისწინებული, რომ ადამიანებს კონკრეტული რეგიონიდან პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავდეთ და პარტიული სიითაც მეტ-ნაკლებად პროპორციული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, მანდატების რაოდენობის გაზრდაც არის შესაძლებელი.

***– შეთავაზებული მოდელი რატომ არის უკეთესი?***

– აქამდე არსებული მოდელის პირობებში, თუ რომელიმე პარტია იგებს მაჟორიტარული ოლქების დიდ ნაწილს, როგორც წინა არჩევნების დროს მოხდა, მაშინ მას პროპორციული სიით მხოლოდ მცირე პროცენტიც ყოფნის იმისთვის, რომ მთავრობა ჩამოაყალიბოს.

შეთავაზებული მოდელის შემთხვევაში, როდესაც მაჟორიტართა რიცხვი 1/3-მდეა დაყვანილი, მაჟორიტარების რაოდენობა ისეთ სერიოზულ გავლენას საერთო სურათზე, მანდატების რაოდენობის მხრივ, ვეღარ ახდენს.

***– ანუ ეს რას ნიშნავს?***

– ანუ „ოცნებამ“ ყველა ოლქიც რომ მოიგოს, მას კიდევ დასჭირდება პროპორციული სიებით მიღებული 26 ხმა, რაც მარტივი არ იქნება. ჯერ ერთი, დღევანდელ რეალობაში 50 ოლქის მოგება იქნება რთული. მეორეც – პროპორციულ ნაწილშიც არ იქნება მარტივი მაღალი პროცენტის ჩვენება. 1/3-მდე დაყვანით მაჟორიტართა ხმები ისეთ გავლენას უკვე ვეღარ ახდენს, როგორც დღეს არსებული მოდელის პირობებშია.

***– „ოცნების“ მხრიდან ეს დათმობაა?***

– დათმობაა, რა თქმა უნდა, ამ მოდელზე ბევრი გადადის. იტალიამ 2017 წელს შეცვალა და პროპორციულიდან ასეთ მოდელზე გადავიდა.

იგივე ხდება ისრაელში. წელს მესამედ დაინიშნა არჩევნები. მსგავსი გამოცდილება სხვა ქვეყნებშიც არის.

***– ოპოზიცია საერთოდ არ იღებს ხელისუფლების ამ შეთავაზებას. ახალი წლიდან იწყებს ახალ ეროვნულ წინააღმდეგობას. თუ შეთავაზებული ვარიანტი ხელისუფლების დათმობაა, ოპოზიცია რატომ არ ღებულობს?***

– რატომ ელოდებიან ახალ წელს. ახალ წლამდე დაიწყონ წინააღმდეგობის მოძრაობა. ახალი წელი რა არის? ჯერ დაისვენებენ, ახალ წელს შეხვდებიან და შემდეგ წამოიწყებენ? დათმობაა, როცა მაჟორიტართა რიცხვი ნახევრიდან 1/3-მდე ჩამოდის.

ოპოზიციას შეუძლია შეთანხმდეს და მაჟორიტარული ოლქები გაინაწილოს. ერთ ოლქში ერთი კანდიდატი წამოაყენონ, მეორე ოლქში მეორე კანდიდატი და ერთსა და იმავე კანდიდატს დაუჭირონ მხარი. რატომ არის პრობლემა.

***– უსუფაშვილსაც, რომელიც გერმანული მოდელის ინიციატორი იყო, არ მოეწონა შეთავაზებული მოდელი. ამბობს, ბრძოლას გავაგრძელებთო. რატომ?***

– კონსტიტუციის მოდელებში არ მინდა შეჭრა, ამაზე ისაუბრონ კონსტიტუციონალისტებმა და დარგის სპეციალისტებმა. მე, როგორც მოქალაქეს, მაქვს შიში იმისა, რომ ქვეყანა არ იყოს მუდმივ სამთავრობო კრიზისებში. მე მხოლოდ ეს მადარდებს, მეტი არაფერი. როგორი მოდელიც სურთ, ის მიიღონ.

უბრალოდ, ოპოზიცია ხელისუფლებას ისეთ მოდელს სთავაზობს, რომ თუ პარტიამ მოიგო მაჟორიტარების უმეტესობა და პარტიული სიით პირველ ადგილზე გავიდა, ის მაინც ვერ ჩამოაყალიბებს მთავრობას და ვერ მოვა ხელისუფლებაში. ასეთ ვარიანტზე, თვითონაც რომ იყვნენ ხელისუფლებაში, არ დათანხმდებოდნენ.

ჯიუტად მიდის ჭიდაობა ისეთ საკითხებზეა, რაზეც ვერ შეთანხმდებიან. სჯობს რაღაც დათმობაზე წავიდნენ. უბრალო მათემატიკა მოიშველიონ და გამოთვალონ, რომ 1/3-მდე მაჟორიტარების შემცირება სერიოზული დათმობაა. თუ არ უნდათ ამ დათმობაზე დათანხმება და მაინცდამაინც მუდმივი დაძაბულობა სურთ, ეს სხვა თემაა.

***– კომენტარებში მოვისმინე, ხელისუფლებას არჩევნები წაგებული აქვს და ხავსს ეჭიდებაო.***

– თუ ხელისუფლებას არჩევნები წაგებული აქვს, მაშინ, საერთოდ, რაზეა ლაპარაკი? მოუგონ იმ სისტემით, რაც დღეს არის. ადრინდელთან შედარებით ხელისუფლების რეიტინგი დაწეულია. მოიგონ იმ სისტემით, რომლითაც 2012 წელს არჩევნებში „ოცნებასთან“ წაგეს.

უმჯობესია, რაღაც შეიცვალოს და იყოს არა „ოცნებასა“ და მის ოპონენტებზე მორგებული, არამედ ავირჩიოთ ნორმალური მოდელი, სადაც მაჟორიტარულიც იქნება და პროპორციულიც, მაქსიმუმ სამპარტიულად იყოს შესაძლებელი კოალიციის ჩამოყალიბება. არ იყოს დაქუცმაცებული პარტიები, რომლებიც პორტფელების ყიდვა-გაყიდვით იქნებიან დაკავებული.

პროპორციულის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ გამოსავალს პროპორციულ მოდელშიც ვერ ვხედავ. პარტიები არ გვყავს ნორმალური, იდეოლოგიაზე დაფუძნებული.

***– რესპონდენტებს ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ, რომ ქვეყანაში პარტიები, საერთოდ. არ გვყავს.***

– პარტიები სახელად არის, მაგრამ მოსახლეობაში გამოკითხვა რომ ჩაატარო, ვერავინ გეტყვის, რა იდეოლოგიაზე არიან დაფუძნებული, რა ღირებულებები აქვთ. ჩვენთან ამის ტრადიცია არ არის. როცა არჩევნები ტარდება და პარტიები რაღაც შედეგს იღებენ, წინასაარჩევნო დაპირებებით კი არ იწყებენ კოალიციის ჩამოყალიბებას, როგორც ეს ისრაელში, გერმანიასა და სხვაგან ხდება, არამედ პოსტების განაწილებას იწყებენ, ვიღაცას პროკურორი უნდა ჰყავდეს, ვიღაცას შს მინისტრი და ა.შ.

***– ხელისუფლების დათმობების ზღვარი სადამდეა? ხომ არ შეიძლება ხელისუფლებამ იმ 50 ოლქში მრავალმანდატიანი სისტემა დაუშვას, რაც იყო ოპოზიციის ბოლო კატეგორიული მოთხოვნა?***

– არა, ეგ აბსურდი იქნება და ხელისუფლება მაგაზე არ წავა. წინასწარ ვიცი, რომ მაგ შეთავაზებაზე ხელისუფლება არ დათანხმდება და არც განვიხილავ.

***– უცხოელი დიპლომატები ამბობენ, რომ შეხვედრები და კონსულტაციები გაგრძელდება. თუ ხელისუფლება მეტად აღარ დათმობს, ოპოზიციაც უკან არ იხევს, მაშინ როგორ განვითარდება მოვლენები? შეხვედრებს აზრი ხომ არ ეკარგება?***

– კონსულტაციებს აზრი არ ეკარგება. ხელისუფლებამ ეს ერთი მოდელი შესთავაზა. ვფიქრობ, რომ მაჟორიტართა რიცხვის 1/3-მდე დაყვანა დათმობაა. ამ მოდელში კიდევ რაღაც ცვლილების შეტანის რესურსს ვერ ვხედავ. შესაძლებელია, ოდნავ კიდევ შემცირდეს მაჟორიტართა რაოდენობა – იყოს არა 50, არამედ 45 ან 40. ამაზე შეიძლება იმსჯელონ, ზოგადად, რამდენად მორგებული იქნება საქართველოზე. რასაც ოპოზიცია სთავაზობს ხელისუფლებას, იმაზე ხელისუფლების პასუხი მოვისმინეთ.

თუ კონსულტაციები გაგრძელდება, მაშინ სხვა მოდელზე იმუშავებენ. სადისკუსიო მაგიდასთან იმსჯელონ და არა – ქუჩაში.

***– მრავალმანდატიან ოლქებზე დათანხმების შემთხვევაში, ოპოზიციას გამარჯვების შანსი ჰქონდა თუ არა?***

– იქ, უბრალოდ, ისეთი მოდელი შესთავაზეს, „ოცნებას“ რომ გაემარჯვა, მაინც უმცირესობაში აღმოჩნდებოდა. ამიტომ არ მიიღო ის მოდელი.

# ანა ჯაბაური: „სოლოღაშვილი მოერეოდა ცოტნეს? ამ ზღაპრების არავის სჯერა

– სოლოღაშვილი მოერეოდა ცოტნეს? ამ ზღაპრების არავის სჯერა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ცოტნე გამსახურდიას მეუღლემ, ანა ჯაბაურმა განუცხადა.

მისივე თქმით, საქმეში რამდენიმე პირი ფიგურირებს და არ არის გამორიცხული, ბრალდებულთა რიცხვი გაიზარდოს.

– არ არის გამორიცხული, ბევრი რამე შეიცვალოს, რა თქმა უნდა, ბრალდებულთა რიცხვი უნდა შეიცვალოს. პეტრე ყუფარაძის ამბავი მადარდებს ძალიან. ეს არის ძალიან უსამართლო

გადაწყვეტილება. რეალურად ეს არის ადამიანი, ვინც ცოტნე გადაარჩინა და ახლა შეიძლება მან ბევრი წელი მოიხადოს იმ საქმისთვის, რომელშიც დამნაშავე არ არის.

საქმეში, სულ მცირე, ორი ცივი იარაღი ფიგურირებს, იყო ყავარჯენიც, იყო ბლაგვი საგანიც. ერთი ადამიანი ამდენ იარაღს ვერ დაიჭერდა, ვერც ორი, კიდევ ვიღაც ურტყამდა. ესენი არიან ბანალური ქურდბაცაცები, რომლებიც ევროპაში გადადიან ქურდობისთვის. ერთი გერმანიაში იხდიდა სასჯელს, ერთი საფრანგეთში, მესამე ორჯერ იყო პატიმრობაში საქართველოში. ერთ-ერთი ცოლის გვარზეც კი გადავიდა ამის გამო.

იმას, რომ ცოტნეს ერთი ადამიანი მოერეოდა, მე კატეგორიულად გამოვრიცხავ, ცოტნეს ორი ადამიანიც ვერ მოერეოდა. ყველამ იცის, რომ საქმეში სხვა პირებიც იყვნენ, უბრალოდ, სამართლებრივი საფუძვლები უნდა იყოს იმისთვის, რომ იმ პირების დაკავება მოხდეს, რომლებიც ამ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობდნენ, – განაცხადა ანა ჯაბაურმა.

# ქობულეთთან მანქანა ტრაილერს შეასკდა

## 4 ადამიანი დაიღუპა, მანქანიდან გადავარდნილი 3 წლის ბავშვი კლინიკაში გადაიყვანეს

გუშინ, 23 დეკემბერს, ქობულეთთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1 მცირეწლოვანი და ახალგაზრდა მამაკაცი ქობულეთის საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

დაღუპულთა შორის ერთი ბავშვია.

– ოთხი გარდაცვლილი იყო მანქანაში, ორი მამაკაცი, ერთი ქალი და ერთი, სავარაუდოდ, ათი წლის ბავშვი.

დაახლოებით სამ წლამდე ბავშვი, რომელიც მანქანიდან იყო გამოტყორცნილი, გადაყვანილია კლინიკაში გამვლელის მიერ. კლინიკაში იმყოფება ავარიის შედეგად დაშავებული ერთი მამაკაცი, ტრაილერის მძღოლი, რომელმაც დამუხრუჭებისას, სავარაუდოდ, თავი მიარტყა მინას, – უთხრა „ბათუმელებს“ აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა, ზაალ მიქელაძემ.

მისი თქმით, დაშავებულების მდგომარეობა მძიმეა, ისინი მართვით სუნთქვაზე იმყოფებიან.

ავტოსაგზაო შემთხვევა ქობულეთი-ოზურგეთის დამაკავშირებელ გზაზე მოხდა. ერთმანეთს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები შეეჯახნენ.

ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ნიკა გვარამიას საქმეზე ქიბარ ხალვაში, კახა ბექაური და ნინო ნიჟარაძე გამოიკითხებიან

„რუსთავი 2-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას, ასევე მასთან ერთად ბრალდებული კიდევ 2 პირის საქმე წინა სასამართლო სხდომიდან არსებითი განხილვის ეტაპზე გადავიდა.

საქმის არსებითი განხილვა 3 იანვარს გაიმართება. მოსამართლემ დაკმაყოფილა შუამდგომლობა, რომ „რუსთავი 2-ის“ საქმის არსებითი განხილვის დროს, გამოიკითხოს ტელეკომპანიის მფლობელი ქიბარ ხალვაში.

ასევე, დაკმაყოფილდა კიდევ ერთი შუამდგომლობა, რომელიც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელის, კახა ბექაურის და ასევე, სარჩელის ერთ-ერთი განმცხადებლის, ნინო ნიჟარაძის გამოკითხვას ეხება.

გუშინ, 23 დეკემბერს, წინასასამართლო პროცესზე ნიკა გვარამიასა და მისი ადვოკატების ერთ-ერთი შუამდგომლობა იყო ბრალდებულების წინააღმდეგ სისხლის სამართლის წარმოების შეწყვეტა.

ნიკა გვარამია ამბობს, რომ მას საკუთარი პოზიციების სრულად ჩამოყალიბებისთვის დრო არ მიეცა.

– დღეს უკვე გამოიკვეთა, რომ მოსამართლემ, აღბათ ზუსტად იმიტომ, რომ ნორმალურად წარმართავდა სხდომას, როგორც ჩანს, შენიშვნა მიიღო ამასთან დაკავშირებით და პროცესი არ გადადო.

მე ვითხოვე, რომ 6 ეპიზოდიანი ბრალისთვის მოვმზადებულიყავი, დღევანდელ სხდომაზე მთავარი საკითხი, რაც წყდებოდა, იყო - მიეცემოდა თუ არა საქმეს შემდეგი მსვლელობა. ამ სხდომის აზრი, ყველაზე უფრო დიდი აზრი, გარდა ტექნიკური ნაწილისა და მტკიცებულებების გამოკვლევისა, წარმართვისა თუ არწარმართვისა, არის მთლიანად, როგორ შეფასდება საქმე.

მე ვფიქრობ, ზუსტად იმ ტიპის საქმეა, რომელიც სამოქალაქო სამართლისაა თავის შინაარსით და, უბრალოდ, აბსურდული ბრალია წაყენებული, მაქსიმუმ სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

წინასასამართლო სხდომის ფარგლებში, მოსამართლემ მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით იმსჯელა.

ორივე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საქმის არსებით ეტაპზე განიხილება. რაც შეეხება დაცვის მხარის შუამდგომლობას, ის არსებით განხილვაზე დამატებით 45 მოწმის გამოკითხვას ითხოვდა. თუმცა, საბოლოოდ გადაწყდა, რომ 10 ადამიანი შეირჩევა და მოხდება მათი გამოკითხვა.

# კახა შუშანაშვილს საფრანგეთის სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა



ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტს, კახა შუშანაშვილს (კახა რუსთავსკი) საფრანგეთის სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლომ შუშანაშვილი შეკვეთილ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ, რომლის დროსაც კიდევ ერთი კრიმინალური ავტორიტეტი, ვლადიმერ ჯანანია დაიღუპა.

კახა შუშანაშვილს კრიმინალურ საქმიანობაში ადანაშაულებენ ესპანეთშიც. 2016 წელს, მას ესპანეთის სასამართლომ 20 წლით და 11 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შუშანაშვილი ამჯერად მარსელის ციხეში იმყოფება. მასთან ერთად კიდევ 3 ქართველი გაასამართლეს, რომელთაგან ორს 6 და 7 წლით პატიმრობა მიესაჯა, ხოლო მესამე პირობითი სასჯელით სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს.

მედია კახა შუშანაშვილის ძმაზე, ლაშა შუშანაშვილზეც წერს. მედიის ცნობით, ლაშა შუშანაშვილი, რომელიც ევროპაში „ქართული მაფიის“ ლიდერად ითვლება, საბერძნეთის ციხეში იხდის სასჯელს.

## ლიუკ სკაიუოკერი მარიხუანის გამო დააპატიმრეს

ამერიკის ტეხასის შტატის მკვიდრი ლიუკ სკაიუოკერი მარიხუანის შენახვისთვის დააპატიმრეს. აღნიშნული ინციდენტი ფანტასტიკური კინოეპოპეის „ვარსკვლავური ომების“ ახალი ფილმის პრემიერამდე ერთი დღით ადრე მოხდა.

ფილმ „ვარსკვლავური ომების“ ერთ-ერთი პერსონაჟის მოსახელე ლიუკ აარონ სკაიუოკერ სეკტონი ქალაქ სან-ანტონიოს ჩრდილოეთით საკუთარ

მანქანაში დააპატიმრეს. პოლიციელების ყურადღება ავტომობილზე სანომრე ნიშნების არქონამ მიიპყრო, რომელსაც 19 წლის ახალგაზრდა მამაკაცი მართავდა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მანქანას მიუახლოვდნენ და მარიხუანის სუნი იგრძნეს, რომლის შენახვისთვისაც სკაიუოკერი დააპატიმრეს.

სამართალდამრღვევმა დანაშაული აღიარა. ის ორი ათასი დოლარით დააჯარიმეს და იმავე დღეს გაათავისუფლეს.

აღსანიშნავია, რომ ტეხასში შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონი მოქმედებს. ზოგიერთი ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისთვის შესაძლოა კანონის დამრღვევი ნახევარი წლით პატიმრობით დაისაჯოს.

## ქირურგი ასეულობით ბავშვის გაუპატიურებაში დაადანაშაულეს

68 წლის ფრანგი ქირურგი ჟოელ ლე სკუარნეკი 349 ბავშვის გაუპატიურებასა და მათ მიმართ გარყვნილ ქმედებაში დაადანაშაულეს.

ამ საქმეზე ჩვენება უკვე 229 ადამიანმა მისცა. აღსანიშნავია, რომ ექიმი კანონსაწინააღმდეგო ქმედებას 30 წლის განმავლობაში ჩადიოდა. პროკურორმა ლორელინ პეირეფიტმა განაცხადა, რომ ზოგიერთ დანაშაულს

ხანგრძლივობის ვადა ამოეწურა. ქირურგმა ბავშვების მიმართ გარყვნილი ქმედებები გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. პირველად ამის შესახებ 2017 წელს 6 წლის გოგონამ განაცხადა. მან მის მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენის შესახებ დედას გაუმხილა.

დაკითხვაზე ექიმმა ასევე ორი ნათესავის გაუპატიურების ფაქტი აღიარა. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა შემოწმება ჩაატარეს და 200 მსგავსი შემთხვევის შესახებ გაკეთებული ჩანაწერები აღმოაჩინეს. ექიმი დანაშაულს თავის სამუშაო ადგილზე, საავადმყოფოში ჩადიოდა.

2020 წლის მარტში გაიმართება სასამართლო მოსმენა პირველ ოთხ გამოვლენილი დანაშაულის საქმეზე, დანარჩენი შემთხვევები კი ჯერ ისევ წინასწარი გამოძიების სტადიაში იმყოფება და შესაძლოა შემდგომში ერთ საქმედ გაერთიანდეს.

**მოამზადა**
**კახა ხატიაშვილმა**

## აშშ-ში კოსმოსური ჯარები შეიქმნა

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა ახალ ბრძანებას, რომლის თანახმადაც აშშ-ში შეიქმნა კოსმოსური ჯარები. ეს ჯდება იმ სამხედრო ბიუჯეტში, რომელსაც სენატმა მხარი დაუჭირა.

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამხელა ბიუჯეტი აშშ-ის არმიას ჯერ არ ჰქონია. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მომხდარზე კომენტარი გააკეთა. მან განაცხადა, რომ რუსეთის თავდაცვითი ბიუჯეტი ამერიკულზე ბევრად ნაკლებია. პუტინმა კვლავ ძველი თეზისი გაიმეორა. მან თქვა, რომ გაუგებარია, თუ რატომ ადანაშაულებენ აგრესიულობაში რუსეთს.

– ეს ამერიკელები შედიან უკრაინაში, საქართველოში და ა.შ. ამერიკული არმია რუსულზე უფრო მრავალრიცხოვანია და უკეთაა აღჭურვილი. აგრესორებიც ამერიკელები არიან, – დაასკვნა პუტინმა.

## ხორვატიის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური დაინიშნა

ხორვატიის საპრეზიდენტო არჩევნებში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზორან მილანოვიჩი ლიდერობს, მეორე ადგილზე კი მოქმედი პრეზიდენტი კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩია.

არჩევნების მეორე ტური 5 იანვარს გაიმართება და მასში ერთმანეთს მილანოვიჩი და გრაბარ-კიტაროვიჩი დაუპირისპირდებიან.

სოციალისტ-დემოკრატების მიერ წარდგენილმა მილანოვიჩმა არჩევნებში ხმების 29.5% მოიპოვა, მმართველი პარტია „ხორვატიის დემოკრატიული კავშირის“ მიერ წარდგენილმა კანდიდატმა, მოქმედმა პრეზიდენტმა კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩმა კი – 26.7%, მესამე ადგილზეა დამოუკიდებელი კანდიდატი მიროსლავ სკორო, რომელმაც 24.4% მოიპოვა.

საპრეზიდენტო არჩევნები ხორვატიაში 22 დეკემბერს ჩატარდა.

## ჟურნალისტ ჯამალ ხაშოგის მკვლელობისთვის 5 პირს სიკვდილი მიესაჯა

საუდის არაბეთის სასამართლომ 5 ადამიანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. საქმე ეხება ჟურნალისტ ჯამალ ხაშოგის მკვლელობის საქმეს. როგორც ცნობილია, კრიტიკოსი და ჟურნალისტი ხაშოგი სტამბოლში, გასულ წელს, საკონსულოს ტერიტორიაზე მოკლეს. ამერიკის ცენტრალური გამოძიების სააგენტომ დაადგინა, რომ მკვლელობა საუდის პრინცის, მუჰამედ ბინ სალმანის დაკვეთით განხორციელდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საუდის არაბეთის 17 მოქალაქეს სანქციები დაუწესა, რადგან ისინი დაკავშირებული იყვნენ ჟურნალისტის მკვლელობასთან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ეჭვიანმა ქმარმა ცოლს საქორწინო ბეჭედი გადააყლაპა და ცემით მოკლა

ინგლისის ჰემპშირის საგრაფოს მცხოვრებმა მამაკაცმა ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლის მკვლელობა აღიარა.

წლის დასაწყისში 28 წლის შონ დაისონმა და 30 წლის ლიუსი-ანა რაშტონმა განქორწინება გადაწყვიტეს, მაგრამ ეჭვიანმა ქმარმა ცოლის გაშვება, რომელთანაც ცხრა წელი იცხოვრა, ვერ შეძლო. ფორმალურად ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ და თავიანთ ბავშვს ზრდიდნენ.

22 ივნისის საღამოს დაისონმა დაინახა, რომ ქალს მისმა ახალმა შეყვარებულმა დაურეკა, რამაც გაამწარა.

– გადაყლაპე ქორწინების ბეჭედი, ჩვენ წყვილი აღარ ვართ, – უთხრა მან მეუღლეს და ცემა დაუწყო. მომხდარის თვითმხილველი გახდა მათი ბავშვი, რომელმაც მოგვიანებით პოლიციელებს უამბო, რომ შუაღამისას გაეღვიძა და დაინახა, რომ მამა დედას სცემდა.

– ის ხანგრძლივი ცემის მსხვერპლი გახდა. ის მას მკერდზე ფეხებით ახტებოდა, სანამ რაშტონი ზურგზე იწვა, – განაცხადა ვინჩესტერის სამეფო სასამართლოს პროკურორმა საიმონ ჯონსმა. მისი თქმით, ქალს 37 მოტეხილობა დაუდგინდა.

დაისონი დილისთვის დამშვიდდა და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. როდესაც ექიმები ადგილზე მიიდნენ, რაშტონი უკვე გარდაცვლილი იყო. მამაკაცი მათ მისვლამდე გაიქცა სახლიდან, 10 საათის შემდეგ კი პოლიციას, ნათესავებსა და მეგობრებს მისწერა, რომ მისი მეუღლე წყლით დაიხრჩო, როდესაც მან გასაღვიძებლად თავზე დაასხა.

სასამართლოში დაისონმა დანაშაული აღიარა. განაჩენი უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

## ქალს დაკარგული ბეჭედი 44 წლის შემდეგ დაუბრუნდა

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ ფორესტ-გროუვის მცხოვრებ ლორი გრეგორის 44 წლის წინ დაკარგული ბეჭედი დაუბრუნეს.

1975 წელს მან სკოლის ტუალეტში ხელები გადაიბანა და ბეჭედი ნიჟარაზე დარჩა. როდესაც მიხვდა, რომ ბეჭედი დაავიწყდა, ის უკვე ადგილზე აღარ დახვდა.

2018 წლის შემოდგომაზე ფორესტ-გროუვიდან 55 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ნიუბერგის მკვიდრმა კეი სი კარიელმა საკუთარ ეზოში მუშაობის დროს ნაგვის გროვაში ბეჭედი იპოვა. მან ბეჭდის შიდა მხარეზე ნახა წარწერა „ლორი ჰიტი“ და წერილი ბეჭდის ფოტოსურათის თანხლებით ფეისბუქში იმ მიზნით გამოაქვეყნა, რომ მისი პატრონი ეპოვა, თუმცა მოწოდებას არავინ გამოხმაურებია.

მიმდინარე წლის ნოემბერში კარიელმა გაიგო, რომ ჰიტი ლორი გრეგორის ქალიშვილობის გვარი იყო და ის მას ადგილობრივი გაზეთის დახმარებით დაუკავშირდა.

თავდაპირველად ქალმა ვერ დაიჯერა, რომ ეს მისი ბეჭედი იყო, ვინაიდან ნიუბერგი მისი სახლიდან საკმაოდ შორს მდებარეობს, მაგრამ კარიელმა განუმარტა, რომ მისი მეუღლე გამწვანებაში მუშაობს და თავიანთი ბაღისთვის ხშირად მოაქვს მიწა ნიადაგის გასანოყიერებლად. ასე რომ, შესაძლოა, სამკაული მათ ბაღში მიწასთან ერთად აღმოჩნდა. ქალები ერთმანეთს შეხვდნენ და ბეჭედი მფლობელს დაუბრუნდა.




## კახა ჩხეტიანი დინამოში დაინიშნა

უკვე ცნობილი და გარკვეული იყო, რომ თბილისის დინამოს მწვრთნელად კახა ჩხეტიანი დაინიშნებოდა. ეს ამბავი პარასკევს უნდა გაოფიციალურებულიყო, მაგრამ 20 დეკემბერს დანიშნული პრესკონფერენცია გადაიდო.

ქართული ფლაგმანის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ და გუნდის სპორტულმა დირექტორმა ზაზა დოლიძემ ჩხეტიანი „დინამო არენაზე“ გუშინ წარადგინეს. ჩხეტიანმა გუნდთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

41 წლის სპეციალისტი დინამოში ადრეც მუშაობდა, როდესაც გია გეგუჩაძის ასისტენტის პოსტს იკავებდა. 2016 წლიდან კი, ქუთაისის ტორპედოში მოღვაწეობდა და სახელიც ამ გუნდში გაითქვა, რომელსაც ერთხელ საქართველოს ჩემპიონობა, ორ-ორჯერ კი საქართველოს თასი და სუპერთასი მოაგებინა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკო-ბიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# შერმადინს ვერ აჩერებენ

ბითაძეს ინდიანა აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერ მილუოკის ესტუმრა და მატჩი უშანსოდ დათმო. მილუოკი მთელ ნბა-ში შეუჩერებელია – 27 მოგებით და მხოლოდ 4 მარცხით ლიგაში საუკეთესო შედეგი აქვს. ინდიანა 3 მეოთხედის შემდეგ 10 ქულით აგებდა, თუმცა ბოლო მეოთხედი, უშანსოდ, 18 ქულით დათმო და დიდი ანგარიშით წააგო – 89:117.

გოგა ბითაძემ 8 წუთი ითამაშა, 3 სროლიდან ვერც ერთი ჩააგდო (მათ შორის ერთი სამქულიანი), 2 პერსონალური ჯარიმა მიიღო. მის აქტივში ორი მოხსნაა (ორივე თავის ფარზე) და ერთი ბლოკი – ამ კომპონენტში ბითაძე ძალიან კარგად გამოიყურება.

ესპანეთის ჩემპიონატის მე-14 ტურის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი შერმადინი დაასახელეს. ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ტურის მვპ შერმადინი უკვე მესამედ გახდა, სულ კი, გასული 14 ტურიდან 4-ში საუკეთესოები ქართველები იყვნენ. პირველივე ტურის საუკეთესოდ თორნიკე შენგელია დასახელდა.

გასული, მე-14 ტური გამორჩეული იყო შერმადინისთვის. მან პირადი რეკორდები დაამყარა როგორც

მოგროვებულ ქულებში, ასევე მარგი ქმედების კოეფიციენტში. 2016 წელს ანდორაში თამაშისას მოგროვებული 29 ქულა შერმადინმა გრან კანარიასთან 100:79 მოგებულ მატჩში გადაფარა. ქართველმა ცენტრმა 32 ქულა ჩააგდო და სარგებლიანობის ინდექსი 42-ამდე აიყვანა. ეს იმიტომ მოხდა, რომ შერმადინმა ტრადიციულად აკურატულად ისროლა.

გიორგიმ 12-დან 9 ორქულიანი და 16-დან 14 საჯარიმო ჩააგდო და აქტივში 9 მოხსნა (5 შეტევაში), 3 ჩაჭრა და 11 გამომუშავებული ფოლიც ჰქონდა. შერმადინი პირველი კალათბურთელია, ვინც ლიგა ენდულასა მიმდინარე სეზონში ტურის საუკეთესო კალათბურთელად მესამედ დაასახელეს და დიდი შანსია, თვის მვპ-ს ტიტულიც ერგოს, რადგანაც 2 აღიარება სწორედ დეკემბერში ჩატარებულ მე-12 და მე-14 ტურებში ერგო.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ მთავარი მწვრთნელი, ველიმირ პერასოვიჩი კი გაუშვა, მაგრამ საქმე ჯერ არ გამოსწორებულა და გუნდმა ისევ წააგო. ბასკონიელებმა სან პაბლოს ბურგოსს უმასპინძლეს და საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ 74:82 დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებისა და ბასკონიის კაპიტანმა, თორნიკე შენგელიამ ორმაგი დუბლი გაიფორმა, მაგრამ თანაგუნდელებმა სათანადოდ მხარი ვერ აუბეს და ბოლო პერიოდის 18:28 წაგების შემდეგ ბასკონიელებმა მარცხი განიცადეს. შენგელია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 32 წუთში 13 ქულა, 10 მოხსნა (2 შეტევაში), 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 11-დან 5 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა.

ისიც აღვნიშნოთ, რომ ორივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშეს იმ კალათბურთელებმა, რომლებიც გასულ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციოზე საქართველოს ნაკრებს ეხმარებოდნენ და ახლაც მოქმედი ქართული პასპორტი აქვთ: ბასკონიაში მეტ ჯენინგმა, ხოლო ბურგოსში თად მაკფადენმა, რომელიც გახდა კიდეც მატჩის გმირი. ჯენინგმა 2 3-ქულიანი ჩააგდო, ხოლო მაკფადენმა 19 ქულა და 6 პასი მიითვალა და ბურგოსელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ბასკონიას 14 ტურში 7-7 მოგება-წაგება მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი, სტუმრად, მოულოდნელად მე-3 პოზიციამდე აღზევებულ სარაგოსასთან ჩაატარებს.

დუდა სანაძის ოლივეირენშემ პორტუგალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში გალიტოსს 85:78 სძლია, რაშიც თავისი წვლილი ქართველმა კალათბურთელმაც შეიტანა.

სანაძე ტრადიციულად სასტარტო შემადგენლობაში იყო და მისი მოედანზე ყოფნის პერიოდში მასპინძლებმა მეტოქეზე 15 ქულით მეტი ჩააგდეს, რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო. დუდამ 29 წუთში 11 ქულა, 6 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. სათქმელია ისიც, რომ ქართველ ლეგიონერს სროლა არ წასვლია, რადგანაც 8-დან 3 ორქულიანი, 7-დან 1 სამქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო ანუ თამაშიდან 15-დან მხოლოდ 4 ტყორცნა გამოიყენა.

ოლივეირენშეს 13 ტურში 9 მოგება მოუგროვდა და მე-4 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს შინ, ერთ-ერთ აუტსაიდერ ოვარენშესთან ჩაატარებს.

ქართველი კალათბურთელის გუნდს მხოლოდ პორტუგალიური გრანდები – სპორტინგი, ბენფიკა და პორტო უსწრებენ, რომელთაც თითოთითო წაგება აქვთ.

მოამზადა მანუელ ყორეულიანმა

# ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

## 22 დეკემბერი

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| უოტფორდი-მანჩესტერი | 2:0 |
| ტოტენჰემი-ჩელსი | 0:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 17 | 16 | 1 | 0 | 42-14 | 49 |
| 2.ლესტერი | 18 | 13 | 2 | 3 | 41-14 | 39 |
| 3.სიტი | 18 | 12 | 2 | 4 | 50-20 | 38 |
| 4.ჩელსი | 18 | 10 | 2 | 6 | 33-25 | 32 |
| 5.შეფილდი | 18 | 7 | 7 | 4 | 22-16 | 28 |
| 6.ვულვზი | 18 | 6 | 9 | 3 | 26-22 | 27 |
| 7.ტოტენჰემი | 18 | 7 | 5 | 6 | 32-26 | 26 |
| 8.მანჩესტერი | 18 | 6 | 7 | 5 | 25-22 | 25 |
| 9.ნიუკასლი | 18 | 7 | 4 | 7 | 18-24 | 25 |
| 10.ბარნლი | 18 | 7 | 3 | 8 | 23-29 | 24 |
| 11.კრ.პალასი | 18 | 6 | 5 | 7 | 15-20 | 23 |
| 12.არსენალი | 18 | 5 | 8 | 5 | 24-27 | 23 |
| 13.ბრაიტონი | 18 | 5 | 5 | 8 | 21-26 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 18 | 5 | 4 | 9 | 19-25 | 19 |
| 15.ევერტონი | 18 | 5 | 4 | 9 | 20-29 | 19 |
| 16.ვესტ ჰემი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-28 | 19 |
| 18.საუთჰემპტონი | 18 | 5 | 3 | 10 | 21-37 | 18 |
| 17.ასტონ ვილა | 18 | 4 | 3 | 11 | 24-33 | 15 |
| 19.ნორვიჩი | 18 | 3 | 3 | 12 | 19-37 | 12 |
| 20.უოტფორდი | 18 | 2 | 6 | 10 | 11-32 | 12 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| უენსდი-ბრისტოლი | 1:0 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფორტუნა-უნიონი | 2:1 |
| პადერბორნი-აინტრახტი | 2:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 17 | 11 | 4 | 2 | 47-20 | 37 |
| 2.გლადბახი | 17 | 11 | 2 | 4 | 33-18 | 35 |
| 3.ბაიერნი | 17 | 10 | 3 | 4 | 46-22 | 33 |
| 4.დორტმუნდი | 17 | 8 | 6 | 3 | 41-24 | 30 |
| 5.შალკე | 17 | 8 | 6 | 3 | 29-21 | 30 |
| 6.ლევერკუზენი | 17 | 8 | 4 | 5 | 23-21 | 28 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 17 | 8 | 3 | 6 | 25-28 | 27 |
| 8.ფრაიბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 27-23 | 26 |
| 9.ვოლფსბურგი | 17 | 6 | 6 | 5 | 18-18 | 24 |
| 10.აუგსბურგი | 17 | 6 | 5 | 6 | 28-31 | 23 |
| 11.უნიონი | 17 | 6 | 2 | 9 | 20-24 | 20 |
| 12.ჰერტა | 17 | 5 | 4 | 8 | 22-29 | 19 |
| 13.აინტრახტი | 17 | 5 | 3 | 8 | 27-29 | 18 |
| 14.მაინცი | 17 | 6 | 0 | 11 | 25-39 | 18 |
| 15.კიოლნი | 17 | 5 | 2 | 10 | 19-32 | 17 |
| 16.ფორტუნა | 17 | 4 | 3 | 10 | 18-36 | 15 |
| 17.ვერდერი | 17 | 3 | 5 | 9 | 23-41 | 14 |
| 18.პადერბორნი | 17 | 3 | 3 | 11 | 20-36 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-რეგენსბურგი | 2:3 |
| ზანდჰაუზენი-კილი | 2:2 |
| ჰაიდენჰაიმი-ოსნაბრიუკი | 3:1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლეგანესი-ესპანიოლი | 2:0 |
| ოსასუნა-სოსიედადი | 3:4 |
| ბეტისი-ატლეტიკო | 1:2 |
| ლევანტე-სელტა | 3:1 |
| რეალი-ბილბაო | 0:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 12 | 3 | 3 | 47-21 | 39 |
| 2.რეალი | 18 | 10 | 7 | 1 | 33-12 | 37 |
| 3.სევილია | 18 | 10 | 4 | 4 | 23-17 | 34 |
| 4.ატლეტიკო | 18 | 8 | 8 | 2 | 20-11 | 32 |
| 5.სოსიედადი | 18 | 9 | 4 | 5 | 32-23 | 30 |
| 6.ხეტაფე | 18 | 8 | 6 | 4 | 26-17 | 30 |
| 7.ბილბაო | 18 | 7 | 7 | 4 | 19-12 | 28 |
| 8.ვალენსია | 18 | 7 | 7 | 4 | 28-25 | 28 |
| 9.ლევანტე | 18 | 8 | 2 | 8 | 25-27 | 26 |
| 10.ვილიარეალი | 18 | 7 | 4 | 7 | 31-25 | 25 |
| 11.გრანადა | 18 | 7 | 3 | 8 | 24-25 | 24 |
| 12.ოსასუნა | 18 | 5 | 8 | 5 | 25-24 | 23 |
| 13.ბეტისი | 18 | 6 | 5 | 7 | 25-31 | 23 |
| 14.ვალიადოლიდი | 18 | 4 | 8 | 6 | 15-21 | 20 |
| 15.ალავესი | 18 | 5 | 4 | 9 | 19-28 | 19 |
| 16.ეიბარი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-28 | 19 |
| 17.მალიორკა | 18 | 4 | 3 | 11 | 18-33 | 15 |
| 18.სელტა | 18 | 3 | 5 | 10 | 15-28 | 14 |
| 19.ლეგანესი | 18 | 3 | 4 | 11 | 14-28 | 13 |
| 20.ესპანიოლი | 18 | 2 | 4 | 12 | 12-34 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-პონფერადინა | 2:3 |
| უესკა-სარაგოსა | 2:1 |
| ალკორკონი-ფუელაბრანდა | 1:1 |
| ხირონა-მირანდესი | 0:3 |

**იტალია. სუპერითასი**

| | |
|---|---|
| ლაციო-იუვენტუსი | 3:1 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატალანტა-მილანი | 5:0 |
| ლეჩე-ბოლონია | 2:3 |
| პარმა-ბრეშა | 1:1 |
| სასუოლო-ნაპოლი | 1:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 17 | 13 | 3 | 1 | 36-14 | 42 |
| 2.იუვენტუსი | 17 | 13 | 3 | 1 | 31-17 | 42 |
| 3.ლაციო | 16 | 11 | 3 | 2 | 38-16 | 36 |
| 4.რომა | 17 | 10 | 5 | 2 | 33-17 | 35 |
| 5.ატალანტა | 17 | 9 | 4 | 4 | 43-25 | 31 |
| 6.კალიარი | 17 | 8 | 5 | 4 | 33-23 | 29 |
| 7.პარმა | 17 | 7 | 4 | 6 | 24-20 | 25 |
| 8.ნაპოლი | 17 | 6 | 6 | 5 | 27-22 | 24 |
| 9.ბოლონია | 17 | 6 | 4 | 7 | 28-29 | 22 |
| 10.ტორინო | 17 | 6 | 3 | 8 | 22-26 | 21 |
| 11.მილანი | 17 | 6 | 3 | 8 | 16-24 | 21 |
| 12.სასუოლო | 17 | 5 | 4 | 8 | 29-29 | 19 |
| 13.ვერონა | 16 | 5 | 4 | 7 | 17-20 | 19 |
| 14.უდინეზე | 17 | 5 | 3 | 9 | 13-28 | 18 |
| 15.ფიორენტინა | 17 | 4 | 5 | 8 | 21-28 | 17 |
| 16.ლეჩე | 17 | 3 | 6 | 8 | 22-34 | 15 |
| 17.სამპდორია | 17 | 4 | 3 | 10 | 14-27 | 15 |
| 18.ბრეშა | 17 | 4 | 2 | 11 | 14-29 | 14 |
| 19.სპალი | 17 | 3 | 3 | 13 | 12-26 | 12 |
| 20.ჯენოა | 17 | 2 | 5 | 10 | 17-35 | 11 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| პესკარა-ტრაპანი | 1:1 |
| პიზა-კოზენცა | 1:3 |
| პორდენონე-ასკოლი | 2:1 |

**ნიდერლანდები–ეროვნული დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აიაქსი-დენ ჰააგი | 6:1 |
| გრონინგენი-ემენი | 2:0 |
| უტრეხტი-ფეინოორდი | 1:2 |
| ვიტესი-ვენლო | 3:0 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გენტი-ბრიუგე | 1:1 |
| სტ.ტრუიდენი-ანტვერპენი | 1:1 |
| ანდერლეხტი-გენკი | 2:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლარისა-პანიონიოსი | 2:0 |
| პანეთოლიკოსი-ოფი | 2:0 |
| ვოლოსი-ოლიმპიაკოსი | 0:0 |
| პანათინაიკოსი-არისი | 0:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-სივასი | 2:2 |
| ქაისერი-ბაშაქშეჰირი | 1:4 |
| ფენერბახჩე-ბეშიქთაში | 3:1 |


# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წევრი, გულანთებული მოქალაქე, ტრადიციული ზნეობისა და პატიოსნების მატარებელი, კარგი მეგობარი და ერთგული მეოჯახე

**რევაზ ხაჟომია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# სუპერლიგის პირველი წრე დასრულდა

**კაკტუსი-დინამო 77:79**
**(16:25, 20:17, 20:22, 21:15)**

სუპერლიგის პირველი წრის ბოლო ტურში ერთმანეთს კაკტუსი და დინამო შეხვდნენ. მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში კაკტუსი დინამოს უთანაბრდებოდა, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში წრეს მე-2 ადგილზე დაასრულებდა.

მატჩი დინამოელთა უპირატეს-

სობით დაიწყო და საბოლოოდ მათი გამარჯვებით დასრულდა. კაკტუსელები დიდი სხვაობით არ რჩებოდნენ და წარმატების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდნენ, თუმცა დასკვნით ეპიზოდში დინამოელთა მწყობრი და დამაჯერებელი თამაშის წყალობით შეხვედრის ბედი მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილი გუნდის სასარგებლოდ გადაწყდა.

საბოლოოდ 2-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა (79:77), თუმცა დინამოელთა გამარჯვებას რეალური საფრთხე არ დამუქრებია.

დინამოელებს 23 ქულითა და 16 მოხსნით სედრიკ ქაუნსილმა ულიდერა. შედეგიანად გაისარჯა ლუკა ბულაშვილი, რომელმაც 18 ქულა, 9 პასი და 5 მოხსნა მიითვალა. 10-10 ქულა მოაგროვეს ნოდარ გოგოძემ და კევინ ობრაიანმა.

კაკტუსში 23 ქულითა და 16 მოხსნით გამოირჩა ზორან ვილოტიევიჩი, მიხეილ ჭოჭუას ანგარიშზე კი 22 ქულა დაგროვდა.

**ვერა-მგზავრები 75:87**
**(17:17, 20:30, 19:25, 19:15)**

თანაბარი შედეგით, 5-5 მოგებით დაასრულა პირველი წრე მორიგმა სამმა გუნდმა – ვერამ, ქუთაისმა და რუსთავმა. ამ ტრიოში საუკეთესო ვერა იყო და მე-5 ადგილზე განთავსდა. ეს იმიტომ, რომ პირველ წრეში ორივე კონკურენტს მოუგო – რუსთავიც დაამარცხა და ქუთაისიც.

არადა, ვერას შეეძლო საქმე აქამდე არ მიეყვანა – აუტსაიდერ მგზავრებთან წააგო. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა ბოლო პერიოდში საგრძნობლად მოუმატა და ეს პროგრესი ვერასთან მატჩში კარგად გამოჩნდა. ბერიშვილის გუნდმა მეტოქე თავიდანვე ჩამოიტოვა, თუმცა საგრძნობი სხვაობით მესამე პერიოდის 25:19 მოგების შემდეგ დაწინაურდა. ვერელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც შეძლეს, მეტოქესთან 6 ქულით მიახლოება იყო.

საბოლოოდ მგზავრებმა 87:75 გაიმარჯვა და ცხრილში 3 მოგებისა და 7 მარცხის მქონე ცხუმ-აფხაზეთს გაუთანაბრდა, თუმცა ამ გუნდთან პირადი წაგების გამო კვლავ ბოლო ადგილზე დარჩა.

გამარჯვებულებს 14 ქულით, 12 მოხსნითა და 5 პასით ტაჯ სპენსერმა ულიდერა. 23 ქულით ბომბარდირი გახდა დარელ კომბსი, ოთო პერტაიას ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა.

ვერაში 27 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ვენდელ ლუისი. 11 ქულა და 7 პასი ბრენდონ სლაის ანგარიშზეა.

სუპერლიგაში მთელი იანვარი დასვენება იქნება და მეორე წრე, თებერვლის დასაწყისიდან განახლდება. მანამდე კი სუპერლიგის გუნდები თასის გათამაშებასთან ერთად მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალზე იასპარეზებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 10 | 8 | 2 | 869-769 | 18 |
| 2.დინამო | 10 | 6 | 4 | 810-854 | 16 |
| 3.ბათუმი | 10 | 6 | 4 | 847-800 | 16 |
| 4.ოლიმპი | 10 | 6 | 4 | 773-803 | 16 |
| 5.ვერა | 10 | 5 | 5 | 759-756 | 15 |
| 6.ქუთაისი | 10 | 5 | 5 | 779-763 | 15 |
| 7.რუსთავი | 10 | 5 | 5 | 795-749 | 15 |
| 8.კაკტუსი | 10 | 4 | 6 | 735-758 | 14 |
| 9.ტიტები | 10 | 4 | 6 | 687-735 | 14 |
| 10.აფხაზეთი | 10 | 3 | 7 | 748-805 | 13 |
| 11.მგზავრები | 10 | 3 | 7 | 778-788 | 13 |

# საქართველოს თასზე გუნდები დაწყვილდნენ

სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ საქართველოს საკალათბურთო თასის მიმდინარე სეზონის გათამაშების წილისყრა გაიმართა. თასის წლევანდელ გათამაშებაში სუპერლიგის 11 და ა ლიგის 5 გუნდი იღებს მონაწილეობას. პრინციპში, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, რადგან გუნდები ერთმანეთს რეგულარულ ჩემპიონატში ადგილების განლაგებით შეხვდებიან ერთმანეთს. სუპერლიგის პირველი წრის მოწინავე 5 გუნდი პირველ კალათაში განითესა და მერვედფინალში ა ლიგის 5 გუნდთან დაწყვილდა. ხოლო სუპერლიგის 6-8 ადგილოსნები 9-11 ადგილებზე გასულ გუნდებს შეხვდებიან. ნახევარფინალამდე 2-მატჩიანი სერიები იქნება, ხოლო შემდეგ ოთხთა ფინალის პრინციპით შედგება. მერვედფინალში კი, გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

**კავკასია-თსუ; ვერა-მეგა; სპორტუნი-დინამო; ოლიმპი-ზესტაფონი; ორბი-ბათუმი; ქუთაისი-ტიტები; რუსთავი–ცხუმ-აფხაზეთი; კაკტუსი-მგზავრები;**

შეგახსენებთ, საქართველოს თასის მოქმედი ჩემპიონი ტიტებია.

# ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



**შვეულად:** 1. აბრეშუმის ჭია; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 5. ფასიანი ქაღალდი; 6. გაგრის ძველი ბერძნული სახელწოდება; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. გრძელ დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. ნარკოტიკული ნივთიერება; 16. აფრიკაში ბინადარი ჟირაფისნაირი გარეული ცხოველი.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 4. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 7. დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 9. უკრაინული ხალხური ცეკვა; 11. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 12. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 13. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი; 17. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი; 20. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ნატრიუმი; 7. არქაული; 8. ელარჯი; 10. ღირღიტა; 12. თასმა; 13. კრონი; 14. ტარსიკონი; 18. ბამბა; 20. პარადი; 23. ბალეტი; 24. იოლი; 25. ქაბაბი; 26. რაბი; 27. ეტალონი.

**შვეულად:** 1. პანიკა; 2. ჩიქვი; 3. კრიახი; 4. შალითა; 6. საპალნე; 9. პიურე; 11. ნორმალი; 15. ინდიელები; 16. დარაბა; 17. ნაწიბური; 19. არომატი; 21. ბრიკეტი; 22. მაგარი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8957

ევრო — 3.2186

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7772

100 რუსული რუბლი — 4.6589

## ამინდის პროგნოზი 24 დეკემბერი




## 17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

# მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

**ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი**

## ალექსანდრე ზაზარაშვილი გამარჯვებულად კიდევ ერთხელ დაასახელეს



უკრაინული საბავშვო „ვოისის“ გამარჯვებული ალექსანდრე ზაზარაშვილი მსოფლიო „ვოისში“ გამარჯვებულად კიდევ ერთხელ დაასახელეს. მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული საბავშვო „ვოისის“ საუკეთესო მუსიკალური რინგების ათეული ოფიციალურად გამოქვეყნდა, სადაც პირველი ადგილი ალექსანდრე ზაზარაშვილმა დაიკავა.

საუკეთესო ათეულის ჩამონათვალი ასეთია: 1. უკრაინა; 2. გერმანია; 3. რუსეთი; 4. კოლუმბია; 5. ესპანეთი; 6. ვიეტნამი; 7. ალბანეთი; 8. ნიდერლანდები; 9. ფილიპინები და 10. პოლონეთი.

## მარტა ბარამიძე „მასტერშეფს“ გამოეთიშა

კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ ნახევარფინალი წარუმატებელი აღმოჩნდა მარტა ბარამიძისთვის. მან სამი შეფის გამოცდა წარმატებით ვერ ჩააბარა და ფინალისტებს შორის ვერ მოხვდა.

კონსტანტინე თედელურის, ლევან კობიაშვილის და ლუკა ნაჭყებიას გადაწყვეტილებით, ფინალისტები გახდნენ დიმუ მენაბდე, ნუცა სურგულაძე და გაგა ვარდანიძე.

**მარტა ბარამიძე:**

– ნუცა ნამდვილად იმსახურებს ფინალში ყოფნას, რადგან აქვს დიდი გამოცდილება, დიდი ცოდნა და მის კერძებსაც ეს ძალიან კარგად ეტყობა. გაგაც მგონია, რომ იმსახურებს ფინალში ყოფნას. რაც შეეხება დიმუს, არ მინდოდა გავარდნა, მაგრამ მე რომ დავრჩენილიყავი, დიმუ გავარდებოდა და ამაზეც ძალიან დამწყდებოდა გული და რომელი მეწყინებოდა, არც კი ვიცოდი. ადამიანის ეგოისტობა გვერდით რომ გადავდოთ, გულში ვფიქრობ, დიმუს აქვს ძალა, რომ ფინალში იბრძოლოს, მე ცოტა დავიღალე. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროექტის მოგება, ბევრ რამეს შეცვლის მის ცხოვრებაში და მე მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ვიქნები. ძალიან გახარებული ვარ, მთელი სულით და გულით. „მასტერშეფმა“ მომცა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი რამ, ერთ-ერთი ის, რომ ჩემს საყვარელ საქმეს დავუბრუნდები, რაც მიყვარს. მეორე, იმდენი ადამიანის სითბო და სიყვარული მივიღე, ამაზე ალბათ ვერასდროს ვერ ვიოცნებებდი. ეს იყო ბოლო პერიოდში ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მაგარი თავგადასავალი.

**პ.ს.** „მასტერშეფის“ მეორე სეზონის ფინალი პირველ იანვარს გაიმართება.

## ასტროპროგნოზი

### 24 დეკემბრისათვის

**ვერძი** – თავგადასავლებითა და პროვოკაციებით სავსე დღეა. ახლობელთან კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა თქვენი მეტისმეტი ქედმაღლობა და სიჯიუტე გახდეს. **კურო** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. არაკეთილისმყოფელი პერიოდია კოლექტიური მუშაობისათვის. ილუზიებს არ აჰყვეთ. **მკუბლები** – საშუალება გეძლევათ, გააფართოოთ სამოქმედო არეალი. ახალი იდეების ხორცშესხმა სავსებით რეალურია. **კირჩხიბი** – ნათესავებთან და ძველ მეგობრებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. დღეს აკრძალულია ნებისმიერი კაპიტალდაბანდება. **ლომი** – პარტნიორთან მაქსიმალურად თავშეკავებული და წინდახედული იყავით, თუმცა მოთმინებასაც საზღვარი აქვს. **ქალწული** – მთელი ენერგიის კონცენტრირება თავდაცვისკენ მოახდინეთ. არ არის გამორიცხული კონფლიქტი ეჭვიანობის ან ფინანსური პრობლემების ნიადაგზე. **სასწორი** – კოლეგებთან ურთიერთობაში აუცილებელია პატიოსნება და გულწრფელობა. სამსახურში სიძნელეებს წააწყდებით. საღამოს განმარტოვდით მყუდრო გარემოში. **ღრმანაკალი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. თქვენი ღირსებები სათანადოდ დაფასდება. **მშვილდოსანი** – ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებსა და მატერიალურ ფასეულობებს. ნებისმიერ უსიამოვნებას ემოციების გარეშე შეხვდით. **თხის რქა** – მშვიდად იმუშავეთ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. დიდი ხნის ოცნების ასრულებას მოულოდნელად მიღებული ინფორმაცია შეუშლის ხელს. **მერწყული** – ენერგეტიკული პოტენციალი სუსტდება. მოვლენები თქვენთვის არასასურველი კუთხით განვითარდება. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **თევზები** – დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულეთ. თქვენი შრომისმოყვარეობა აუცილებლად სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მედდა ექიმს ეკითხება:

– ექიმო, 74 წლის ქალისთვის რა გათქმევინათ, რომ ფეხმძიმედაა?

– სამაგიეროდ, ხომ აღარ ასლოკინებს!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, მართალია, რომ ჩემი თავი ღმერთმა გამოგიგზავნა?

– კი, ძვირფასო, ოღონდ არ ვიცი, რა ცოდვებისთვის...

•••

ცოლი სამზარეულოში კატლეტს წვავს. ქმარი შევა, გვერდით დაუდგება და ეუბნება:

– რას შვრები?! ცოტა ცხიმი დაუმატე, არ მიიწვას!.. გადაბრუნების დროა!.. ჩქარა, არ დაგეწვას! მარილი ხომ არ დააკელი? წიწაკა მეტი ხომ არ მოგვივიდა? თეფში ახლოს მიიტანე, გადმოღების დროს ცხიმი არ გადმოგექცეს!..

ბოლოს ნერვებმოშლილი ცოლი მიუბრუნდა:

– რა გჭირს? როდის იყო, კატლეტის შეწვას მასწავლიდი?

– აი, ახლა ხვდები, რა დღეში ვვარდები, როდესაც საჭესთან ვზივარ და შენ მკარნახობ, როგორ ვატარო მანქანა?!

•••

მდგმური სახლის პატრონს ეუბნება:

– ბოდიში, ნათელა დეიდა, მაგრამ ამ თვეში ბინის ქირას ვერ გადაგიხდით.

– კი მაგრამ, წინა თვეშიც ეგრე არ მითხარი?

– მერე, რა გინდათ, სიტყვა ხომ არ გამიტეხია?

## ედისონ კავანი თითქმის ატლეტიკოს ფეხბურთელია

პსჟ-ს ფორვარდს ედისონ კავანის გუნდიდან წასვლა სურს, რადგან მან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მწვრთნელი მას არ ენდობა.

კავანის მადრიდის ატლეტიკო ეპატიჟება და თვითონ ფორვარდიც თანახმაა, რომ კარიერა ატლეტიკოში გააგრძელოს. იანვარში ეს ტრანსფერი ოფიციალური გახდება და ატლეტიკო პსჟ-ს 40 მილიონს გადაუხდის, თუმცა თანხა შესაძლოა შეიცვალოს.

კავანი წლების მანძილზე პსჟ-ს ლიდერი იყო, მაგრამ ნეიმარის და მბაპეს მოსვლის შემდეგ გუნდში სიტუაცია შეიცვალა და კავანიმ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.




## კრიშტიანო რონალდუმ 6 წლის მანძილზე პირველი ფინალი წააგო

კრიშტიანო რონალდუმ 2013 წლის შემდეგ ფინალური შეხვედრა პირველად წააგო. ეს იტალიის სუპერთასზე მოხდა, როდესაც იუვენტუსი ლაციოსთან 1:3 დამარცხდა.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა და ლაციომ იუვენტუსს ერთი თვის მანძილზე უკვე მეორედ მოუგო.

რონალდუს მატჩის შემდეგ კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა ის ძალიან უკმაყოფილო ჩანდა და მან თავისი გრძნობები არ დამალა.

ამ წაგების შემდეგ შესაძლოა იუვენტუსის ხელმძღვანელობამ ახალ მწვრთნელზეც კი იფიქროს, რადგან მაურისიო სარი ჯერჯერობით იმედებს ვერ ამართლებს.

## გიორგი ჩაკვეტაძით ნაპოლი დაინტერესდა

ბელგიური გენტის ქართველი შემტევით, გიორგი ჩაკვეტაძით, იტალიური გრანდი ნაპოლი დაინტერესდა. იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაპოლი დიდი ხანია, ჩაკვეტაძეს აკვირდება და ჯენარო გატუზომ უკვე იანვარში გადაწყვიტა მისი ყიდვა. ჯერჯერობით ბელგიელები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. ჩაკვეტაძე ძალიან პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და მისი შეძენა რამდენიმე გერმანულ კლუბსაც სურს.

## კრისტიან ერიქსენის შეძენა მანჩესტერ იუნაიტედსაც სურს

თითქმის ბოლომდე გადაწყვეტილია, რომ იანვარში კრისტიან ერიქსენი ტოტენჰემს დატოვებს, მაგრამ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ სად გააგრძელებს ის კარიერას. ერიქსენის შეძენა მადრიდის რეალს სურდა, მაგრამ ბოლო პერიოდში მადრიდელები ინტერესს აღარ იჩენენ და შესაძლოა დანიელი ნახევარმცველი ინგლისში დარჩეს. მისი ყიდვა მანჩესტერ იუნაიტედს სურს, რომელიც ტოტენჰემთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ჯაბა კილაძე: „დამნაშავე ვართ ყველა, ვინც ყოველდღე ვილანძღებით და ვანთხევთ ღვარძლს“



მსახიობი ჯაბა კილაძე მიიჩნევს, რომ დამნაშავეები ვართ ყველა, ვინც ვილანძღებით და ღვარძლს ვანთხევთ:

– ყველა, ვინც სტატუსად „აშეარებს“ „ამ ცხოვრების დედაც“, ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, ეს ცხოვრება არის მშვენიერი, უბრალოდ, ჩვენ, ადამიანები, არსებულ დღეს, ვქმნით ამ არსებულ ცხოვრებაში საშინელ გარემოს.

ცუდ შედარებას მოგიყვანთ: ეს ზუსტად იგივეა, რომ თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქია, გამწვანებული, ჰაერი არის, მაგრამ ის ავტოპარკი, რაც აქ, თბილისში, დადიოდა და არა მარტო თბილისში, აბინძურებდა ქალაქს იმ გამონაბოლქვით. ზუსტად იგივეა ჩვენი ყოველდღიური აგრესია, ერთმანეთის ლანძღვა, დაუმთავრებელი ხელის გაშვერა ერთმანეთისკენ და ჩაქოლვა... ისეთივე ავტომობილები ვართ და ისეთივე შავ ბოლს ვუშვებთ, როგორც ის მანქანები წამლავენ ჰაერს. ამის პასუხი იცით რა არის? ჩვენ არაფერი არ მოგვდის, ჩვენზე, დიდებზე ეს არ მოქმედებს, ეს აისახება ბავშვებზე, რომლებზეც არც კი ვფიქრობთ, რას ვახვედრებთ. ჩემთვის მთავარია, რომ დღეს მე შეგაგინე, მერე შენ შემაგინე, ახლა მე მოვიფიქრებ, ხვალ რა შეგაგინო, მაგრამ ის, რომ 14-15 წლის ბავშვები ამ ყველაფერს უყურებენ?! ჩვენზე ბევრად კარგი თაობაა, იმიტომ, რომ მათ გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ სამყაროზე, ხედავენ, რომ სხვა დანარჩენი სამყარო ცხოვრობს და ჩვენ ამ ადამიანებს არ ვაცლით ცხოვრებას.

მე მაგ ასაკის შვილი მყავს, 14 წლის არის და 24 საათი ჩემს შვილს ვუსმენ, ჭკუას კი არ ვარიგებ, ვუსმენ და მაინტერესებს მისი პრობლემა. იცით, რომ მათმა თაობამ არ იცის ქვეყანა საით მიდის, ვერ ხვდება, სწორედ ეს იწვევს საბოლოო ჯამში ნიჰილიზმს და იქამდე მისვლას, რომ „ამ ცხოვრების დედაც“.

არსებობს არაჩვეულებრივი პიესა „რომეო და ჯულიეტა“. რომ მოვხსნათ რომეოს და ჯულიეტას რომანტიზმი და სიყვარულის ამბავი, რა დაგვრჩება? მონტეგები და კაპულეტები – ეს არ არის ორი გვარი და ორი ოჯახი, ეს არის ორად გახლეჩილი საზოგადოების მაგალითი, სადაც რომელია მართალი? კაპულეტი თუ მონტეგი, ვერ იტყვით, მაგრამ მთავარია შედეგი. ამ სოციუმის შედეგი არის ის, რომ ესენი არიან მკვლელები, იმიტომ, რომ სწორედ მათი გაუგებარი მიზეზის გამო, ვინ იყო დამწყები, ამას არ აქვს მნიშვნელობა, მოკვდა ორი ანგელოზი, მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსებმა რაღაც ვერ დაალაგეს. არც რომეოს და არც ჯულიეტას არ აინტერესებს, დედამ და მამამ რატომ იჩხუბეს. მე მინდა ცხოვრება, მინდა განახო, მოგეფერო, მიხაროდეს გარეთ სიარული... და როგორ უნდა მიხაროდეს გარეთ სიარული, რაც ხდება დღეს?

ამაში დამნაშავე ვართ ყველა: მეც, თქვენც და ყველა, ვინც ყოველდღე ვილანძღებით და ვანთხევთ ღვარძლს.

## ჯოსვოხდი ১



**შვეულად:** 1. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 2. ეგვიპტის ნახევარკუნძული წითელ ზღვაში; 3. „ფიატის“ დამფუძნებელთა და მფლობელთა საგვარეულო; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 6. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 9. ხურდა ფული საქართველოში; 11. სომეხთა მღვდელი; 15. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 16. ქართულ ბალეტ გორდას“ პერსონაჟი; 17. თევზის ქვირითისგან მომზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. სოფლის შარაგზა; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

**თარაზულად:** 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 7. პოლონელი კომპოზიტორი, დიპლომატი; 8. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 10. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ქართველი მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ვრცელი, უტყეო ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 14. ქართველი ჟურნალისტი, მწერალი, ბიზნესმენი ქალი; 18. პურეული მცენარე; 20. კოლუმბიელი პოპვარსკვლავი ქალი; 23. მდინარის, ავტომაგისტრალის ქვეშ გაყვანილი წყალგამტარი; 24. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 25. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 26. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**